საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 2015 წელი.

№197 (7842)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ენ-დი-აი-მ იცის თავისი თეთრი და შავი საქმე!

ნათქვამი რომ არის, წავიდა ალია, მოვიდა მოსიაო, ისე წავიდა ლუის ნავარო და მოვიდა ლორა ტორნტონი, რომელმაც ნაციონალების სასარგებლოდ ახალი კვლევა სწორედ მაშინ გამოაცხო, როცა მეორე დღეს იწყებოდა რეიტინგულად ვითომც მოღონიერებულ ნაციონალთა ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდისტული რუპორის გაგვარამიავებულ-გაგაბუნიავებული რუსთავი-2-ის სასამართლო არხის ქონებაწართმეული კანონიერი პატრონისთვის დაბრუნების თაობაზე.



მზესავით ნათელი და აშკარაა, რომ ამერიკის ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი სამამაძაღლოდ შენიღბული ტროას ცხენია!

შინაურ თუ გარეულ ავის მნდომელთაგან გუშინ თუ გუშინწინ არაერთხელ გაცურებულ ქართველ საზოგადოებას, საბედნიეროდ, დღეს ცოტად თუ ბევრად უკვე აღარ უჭირს პოლიტიკური მტერ-მოყვრის ერთმანეთისგან გარჩევა!

ასე რომ, საქმისთვის აჯობებს ენ-დი-აი-მ თავის ქვეყანაში იკვლიოს, რაც საკვლევია, ჩვენს საკვლევს ჩვენ თავად გამოვიკვლევთ!...

თამაზ მეჭიაური: ③
ჩვენი ამომრჩეველი ნაციონალურ მოძრაობასთან არ წავა!

ვახტანგ მაისაია: ②
ციხეში ადამიანი დააბეს და ძალლივით აყეფეს!

ქახა ქალაძე: ③
ბანკროტი პოლიტიკოსები „გაზპრომით“ სპეკულირებენ

④ ისტორია, რომელსაც პრეზიდენტები ქმნიან,
ანუ რომელია მოსამართლის უნდობლობის საფუძველი და რა მიზანს ემსახურება ნიკა გვარამიას განცხადებები?

ლევან ჯობიაშვილი:

საზოგადოებამ უნდა შეიტყოს, რაში იხარჯებოდა თანხები ⑩

⑥ შემოვლითი რკინიგზაც აშენდება და ახალი კურორტებიც

ქართული ბიზნესის მამინაცვალი

ანუ გამოიყენებს თუ არა სასამართლო ქართული ბიზნეს-სამართლის დამანგრეველ პუნქტს? ⑤

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

სადილი ქართველი კოლეგის პატივსაცემად

ისრაელის პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტისა და პირველი ლედის პატივსაცემად სახელმწიფო სადილი გაიმართა.

გიორგი მარგველაშვილმა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტ რუვენ რივლინს და მის მეუღლეს ნეჩამა რივლინს მოწვევისა და გულითადი მასპინძლობისათვის მადლობა გადაუხადა.

მათივე განმარტებით, ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა ოფიციალური სადღეგრძელო შესვეს და ორი ქვეყნის 26-საუკუნოვან მეგობრობაზე გაამახვილეს ყურადღება.

„მე დღეს ვიმყოფები ხალხთან, რომელმაც კარგად იცის, რას ნიშნავს თავისუფლებისათვის, სახელმწიფოებრიობისა და მშვიდობისათვის ბრძოლა. მე ვიმყოფები ქალაქში, რომელიც განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა შერწყმის განსაკუთრებული მაგალითია. მე ვიმყოფები იმ წმინდა მიწაზე, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის უნიკალურ სულიერ საგანძურს წარმოადგენს და რომელთანაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა ოფიციალურ სადილზე.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობა ჩვენი ერების საერთო ღირებულებებმა შექმნეს.

თავის მხრივ, რუვლენ რივლინმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას ნაყოფიერი უწოდა და აღნიშნა, რომ ისრაელმა არ უნდა დაივიწყოს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა საერთაშორისო დიპლომატიაში. მისი განცხადებით, ისრაელმა არაერთხელ გამოხატა ნათელი მხარდაჭერა საქართველოს განვითარებისა და კეთილდღეობისადმი.

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სახელმწიფო ვიზიტი ისრაელში დასრულდა.

ბრიუსელში ქართულ დელეგაციას პრემიერი უხელმძღვანელებს

ბრიუსელში 16 ნოემბერს დაგეგმილია ასოციირების საბჭოს მეორე შეხვედრა, სადაც ქართული დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით იქნება წარმოდგენილი.

ამის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის წევრებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგი გიგიაძემ მიაწოდა.

გიგიაძის თქმით, 9-10 ნოემბერს საქართველოს სამუშაო ვიზიტით უმაღლესი ევროკომისარი ფედერიკა მოგერინი ეწვევა, ხოლო 26-27 ნოემბერს — ევროკომისარი იოჰანეს ჰანი.

26 ნოემბერს, თბილისში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მორიგი შეხვედრა გაიმართება, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების სესიასა და სექტორულ დიალოგს მოიცავს. სესიას პარტნიორი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ხელმძღვანელი პირების გარდა, ევროკომისარი იოჰანეს ჰანი და საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილე ჰელგან შმიტი დაესწრებიან.

გიგიაძის ცნობით, შეხვედრაზე აქცენტები გაკეთდება რიგის სამიტზე განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულებაზე და სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის შედეგებზე.

პარლამენტის ორი კომიტეტი ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს უსმენს.

ამერიკის საზღვაო ძალების გემი ბათუმის ნავსადგურში შევიდა

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების გემი „პორტერი“ ბათუმის ნავსადგურს ეწვია. ზღვისპირა ქალაქში გაიმართა ხომალდის დახვედრის საზეიმო ღონისძიება.

„პორტერის“ კაპიტანს ბლერ გაის აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები დახვდნენ.

„გემის შემოსვლას დიდი მნიშვნელობა და ინტერესი აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. ერთი ის, რომ საზღვაო სამსახურებთან ერთად გაივლიან წვრთნებს. ასევე, ჩვენი ქვეყნის და შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია მათი შემოსვლა. ვფიქრობ, რომ ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობას, ურთიერთთანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სამხედრო მიმართულებით“, — აღნიშნა არჩილ ხაბაძემ.

ხომალდის კაპიტნის ბლერ გაის განმარტებით, „პორტერი“ შავი ზღვის აკვადორიის ქვეყნებს სტუმრობს, რათა გაღრმავდეს ურთიერთთანამშრომლობა:

ამერიკული გემები რეგულარულად სტუმრობენ საქართველოს. „პორტერის“ ვიზიტისას ამერიკელი მეზღვაურები საქართველოს სანაპირო დაცვის თანამშრომლებთან ერთობლივ წვრთნებს გამართავენ. ვიზიტის მიზანია, ხელი შეუწყოს შეერთებული შტატების მე-6 ფლოტისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებას და განამტკიცოს საზღვაო უსაფრთხოება. ბათუმში ყოფნისას გემს აშშ-ის ელჩი იან კელი და აშშ-ის საზღვაო ძალების ატაშე, ლეიტენანტ-პოლკოვნიკი ბილ კონერი ეწვევიან.

„პორტერი“ „არლეი ბერკის“ კლასის ნაღმოსანია. ის შეერთებული შტატების საზღვაო ძალების სამხედრო სამსახურშია. გემს სახელი ეწოდა აშშ-ის საზღვაო ძალების უფროსი კაპიტნის დევიდ პორტერისა და მისი ვაჟის, ადმირალ დევიდ დიქსონ პორტერის პატივსაცემად.

ის შეუფერხებელ საზღვაო მიმოსვლასა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. მე-6 ფლოტის ამოცანაა მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობა ევროპისა და აფრიკის რეგიონებში.

◎ თვითმხილველი

ციხეში ადამიანი დააბეს და ძალლივით აყეფეს!

„საპარლამენტო არჩევნების მეორე დღესვე მეგის ქარდავამ და „მასტერამ“ ადამიანების წამებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების ორიგინალები ქვეყნიდან გაიტანეს. ორივე მათგანი სისტემური დანაშაულის ორგანიზატორი და შემსრულებელია და, ბუნებრივია, იმასაც ხვდებოდნენ, რომ ჩადენილი სისასტიკისა და დანაშაულის გამო ახალი ხელისუფლების პირობებში ციხეში მრავალი წლით ამოყოფდნენ თავს.

როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში ქვეყნიდან გაქცეული მეგის ქარდავა და „მასტერა“ ნაციონალურ მოძრაობას დაუპირისპირდნენ იმის გამო, რომ პარტია მათ სათანადო ყურადღებას არ აქცევდა, შესაძლოა, ქარდავამ და „მასტერამ“ თანაგუნდელებზე შურისძიება გადაწყვიტეს.

„მასტერა“ ჰოლანდიის ციხეში ზის და ქართული მხარე მის ექსტრადიციას ითხოვს, მეგის ქარდავა კი თავისუფლად დაიარება. როგორც ვიცი, რამდენიმე დღის წინათ უკრაინელი ოლიგარქი იგორ კოლომოისკი ევროპაში იმყოფებოდა, სადაც სწორედ ქარდავას შეხვდა და მისგან სააკაშვილის საწინააღმდეგო კომპრომატები შეიძინა. კოლომოისკის უკრაინაში ტელევიზია და უამრავი საინფორმაციო სააგენტო აქვს. ასე რომ, რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ფირი მხოლოდ დასაწყისია — სააკაშვილს კიდევ არაერთ სიურპრიზს მოუწყობენ.

ვფიქრობ, უკრაინელებიც მალე მიხვდებიან, სააკაშვილი და მისი ჯგუფი რეალურად რა ძალას წარმოადგენენ. სააკაშვილი უკრაინაში ისედაც რთულ ვითარებაშია. ცოტა ხნის წინათ ის ადგილობრივ მოსახლეობას დაუპირისპირდა და მუშტის ქნევით დაემუქრა კიდეც. გავრცელებული ფირის გარეშეც კარგად ვიცი, რა ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, რადგან სისტემური დანაშაული პირადად მეც შემეხო.

საკუთარი თვალით ვნახე, როგორ დაბეს ციხეში ადამიანი და მას ძაღლივით ყეფას აიძულებდნენ. ამ ფაქტს ჩემ გარდა, უამრავი ადამიანი დაადასტურებს, თუმცა ეს მხოლოდ მსუბუქი მაგალითია იმისა, რაც წლების განმავლობაში ციხეებში რეალურად ხდებოდა“, — ამბობს ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ მაისაია.

◎ ჯალათები

გამოაქვეყნეს წამებაში მონაწილე პირთა სია

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე სოციალურ ქსელში წამებაში მონაწილე პირთა სიას აქვეყნებს.

„ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ სამეგრელოში ხალხის გაუპატიურებაში, ყველა დასჯილია. აი მათი სიაც:

● **დავით ჩაგინავა** (თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ყოფილი უფროსი-გამომძიებელი) — **9 წლით თავისუფლების აღკვეთა;**

● **კობა თოდუა** (იგი თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი იყო დაკავების მომენტში) — **9 წლით პატიმრობა;**

● **გურამ ჭითანავა** (შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მოქმედი თანამშრომელი იყო დაკავების მომენტში) — **6 წლით პატიმრობა;**

● **პაატა ქირია** (შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი) — **6 წლით თავისუფლების აღკვეთა;**

● **გიორგი ბულია** (სამეგრელო-ზემო სვანეთის

სამხედრო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი) — **6 წლით თავისუფლების აღკვეთა;**

● **ირაკლი ახალაია** (სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხედრო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი) — **2,3 წლით თავისუფლების აღკვეთა;**

● **თემურ უბირია** (ბრალდების ცნობით, ვიდეომასალაზე აღბეჭდილ პირებზე უშუალოდ ის ახორციელებდა სექსუალურ ძალადობას) — **7,6 წლით თავისუფლების აღკვეთა,** — წერს ნიკოლოზ მჟავანაძე სოციალურ ქსელში.

◎ SIC!

რატომ გაასხვისეს „მაესტროს“ ლოგო?

ტელეკომპანია „მაესტროს“ 25 %-ის მფლობელმა გია გაჩეჩილაძემ არხის გაკოტრების საქმის დაწყების განჩინება სასამართლოში გაასაჩივრა.

როგორც გაჩეჩილაძის ადვოკატმა ირაკლი კორძახიამ განაცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს კერძო სარჩელით 10 ოქტომბერს მიმართეს.

ადვოკატის ინფორმაციით, სასამართლოში კიდევ ერთი სარჩელი შეიტანეს, რომლითაც „მაესტროს“ ლოგოს გასხვისების ბათილად ცნობას და მისი შპს „მაესტროსთვის“ დაბრუნებას მოითხოვენ.

„მაესტროს“ დირექტორმა 25%-იანი აქციონერის ზურგს უკან, უსასყიდლოდ გაასხვისებინა „მაესტროს“ ერთ-ერთი მთავარი აქტივი — მისი ლოგო. საოცარია, მაგრამ დღეს „მაესტროს“ სახელი და მისი სასაქონლო ნიშანი ეკუთვნის სხვა კომპანიას, რომლის დამფუძნებელი არის მამუკა ღლონტთან და კოტე გოგელიასთან დაკავშირებული პირი ბაჩო კიკაბიძე. ჩვენ შევიტანეთ სარჩელი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გასხვისების ბათილობის მოთხოვნით. გვინდა, რომ „მაესტროს“ დავუბრუნოთ მისი ლოგო, რომელიც 2014 წელს უკანონოდ გასხვისდა“, — განაცხადა ადვოკატმა.

მისივე განმარტებით, ისინი ასევე ითხოვენ აუდიტის ჩატარებას გოგელიას მიერ „მაესტროში“ ჩადებულ ფინანსებთან დაკავშირებით, რადგან აქვთ ეჭვი, რომ ტელეკომპანიის ერთადერთი კრედიტორი ის არ არის.

რაც შეეხება „მაესტროს“ მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით პარტნიორებისადმი გია გაჩეჩილაძის წინადადებას, რითაც თავიდან იქნება აცილებული არხის გაკოტრება და მოხდება მისი რეაბილიტაცია, ირაკლი კორძახიას ინფორმაციით, აღნიშნულის თაობაზე ტელეკომპანიის მეწილეებს 7 ნოემბერს პარტნიორთა კრების გამართვა სთხოვეს.

„პარტნიორთა კრება 1 ოქტომბერს გაიმართა, თუმცა მას გია გაჩეჩილაძე ვერ დაესწრო, რადგან გერმანიაში იმყოფებოდა, სადაც მძიმე ოპერაცია გაიკეთა. ჩვენ ვთხოვეთ „მაესტროს“, რომ კრება 10 დღით გადადებულიყო, რა პერიოდშიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მოახერხებდა ჩამოსვლას, მაგრამ პარტნიორები აბსოლუტურად არაპარტნიორულად მოეკიდნენ მის ამ თხოვნას და მოსთხოვეს, რომ რეანიმაციიდან გამოცხადებულიყო პარტნიორთა კრებაზე. გია გაჩეჩილაძე უკვე დაბრუნდა გერმანიიდან, რის შემდეგაც ჩვენ წერილი მივწერეთ „მაესტროს“ და ვთხოვეთ, რომ 7 ნოემბერს ისევ ჩატარდეს პარტნიორთა კრება, რათა დეტალურად მოხდეს რეაბილიტაციის გეგმის განხილვა“, — განაცხადა ადვოკატმა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გია გაჩეჩილაძე „მაესტროს“ მართვაში გადაცემის სანაცვლოდ მზადაა პარტნიორებს 10 მილიონი აშშ დოლარის საბანკო გარანტია წარუდგინოს.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲘ:

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲐ!

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიზანია, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, თითქოს, მთავრობა „გაზპრომთან“ მიმართებაში ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიც ქვეყნის ინტერესებს აზიანებს. კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ქვეყანას გაზის მიწოდების ალტერნატიული წყაროები უნდა ჰქონდეს, მათ შორის, რუსული გაზიც უნდა იყოს.

პოლიტიკურ პროცესებზე, for.ge ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲡ ესაუბრა:

— ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ სასამართლოს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციონირება შეწყვეტილი აქვს. რას აპირებთ — სააგენტოს ხელმძღვანელობა არჩეული გყავთ, მათ კი, მუშაობის უფლება არა აქვთ?

— ამ საკითხზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების არც უფლება და არც სურვილი არ მაქვს. ალბათ, ამ საკითხის თაობაზე კონსულტაციები გაიმართება და გადაწყვეტილებას მივიღებთ, შემდგომი ნაბიჯი თუ რა იქნება. ჩვენი გეგმა სასამართლოს გადაწყვეტილებასთან თანხვედრაში იქნება, მაგრამ იმასაც გავიხილავთ, კანონმდებლობით მონიჭებული ბერკეტები როგორ გამოვიყენოთ. საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიტიზებული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს ასახავს. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით მთავრობასა და პარლამენტს უნდობლობა გამოუცხადა.

სასამართლომ ნდობა გიორგი ქადაგიძეს გამოუცხადა, რომელიც ზურაბ ადეიშვილთან პირდაპირ დაკავშირებულია. საკონსტიტუციო სასამართლოში ხმები გაიყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს გადაწყვეტილება რეალობას მოწყვეტილია.

— თქვენ ამბობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ნაციონალური მოძრაობის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს?

— მგონი, პაპუაშვილს მნიშვნელოვნად ის ვალდებულებები უფრო მიაჩნია, რომელიც მას ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინაშე აქვს.

— რა ვალდებულებებს გულისხმობთ?

— თავის დროზე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე მის დანიშვნას. ასევე ბათუმში მისთვის გადაცემულ ძვირად ღირებულ ბინას, რომელიც მას, ფაქტობრივად, სააკაშვილმა აჩუქა. სხვა კიდევ რა ვალდებულებები არსებობს, არ ვიცი.

— თქვენ მსგავსს ეჭვებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის მიმართაც გამოთქვამდით. თქვენ ფიქრობთ, რომ ქადაგიძე და პაპუაშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობენ?

— ეს პირები ერთი ჯაჭვის რგოლები არიან. „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირად შეეცდება, რომ ქვეყანაში ფინანსური არასტაბილურობა გამოიწვიოს, უკმაყოფილო ჯგუფები გააააქტიუროს და ქაოსი შექმნას. ნაციონალები განაწყენებული ძალების შეკრებას ჯერ კიდევ გაზაფხულზე ცდილობდნენ, შემდეგ ეს სექტემბერში დააპირეს. საუბარი მაქვს იმ ადამიანებზე, რომელთაც კრედიტები დოლარებში აიღეს და შემოსავალი ლარში აქვთ. ასევე უკმაყოფილებას იპოთეკით დაზარალებული პირებიც გამოთქვამენ, რომლებზეც ნაციონალები მუშაობენ. მოსახლეობა მათ ბრმად აღარ უჯერებს.

ამ ადამიანებმა კრედიტები რატომ აიღეს? — ქვეყანას 300 ათასი პრობაციონერი ჰყავდა. ვილაცები დაიკავეს, მათთან საპროცესო შეთანხმებები გააფორმეს და ამ ადამიანებს კრედიტების აღება დასჭირდათ. ის ადამიანები ცდილობენ მოსახლეობის გამოყენებას, რომლებმაც ამ ხალხს პრობლემები შეუქმნეს.

— თქვენ ნაციონალების პოლიტგეგმებზე აქცენტირებთ, მაგრამ „ქართული ოცნება“ იპოთეკით დაზარალებულ პირებს იაფ კრედიტებს, „უფასო ფულს“ და კიდევ ბევრ სხვა პრივილეგიას ჰპირდებოდა, რაც ჯერჯერობით არ ჩანს. ეს ადამიანები შეუსრულებელი დაპირებების გამო არ გიპირისპირდებიან?

— არ გამოვრიცხავ, რომ ის ადამიანები გაგვინაწყენდნენ, რომლებიც იმედის თვალით გვიყურებდნენ. მათ შორის ერთ-ერთი მიზეზი სამართლიანობის აღდგენაა, რომელიც იმ ტემპით არ წავიდა, როგორიც მათ წარმოედგინათ. ამომრჩეველთა ნაწილი ფინანსურ პრობლემებზე იმდენად არ აქცენტირებს, როგორც სამართლიანობის აღდგენაზე. აქედან გამომდინარე, თუკი ვინმე ჩვენზე იმის გამო განაწყენდება, რომ ეს საკითხი არ გადავჭერით, ის იმასთან არ წავა, ვის გამოც პრობლემები შეიქმნა. ჩვენი ამომრჩეველი ნაციონალურ მოძრაობასთან არ წავა.

— რაც შეეხება „გაზპრომის“ გარშემო ატეხილ ხმაურს, რას აპირებს მთავრობა?

— ერთი პოლიტიკური ჯგუფის მცდელობაა, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, თითქოს, მთავრობა ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიც ქვეყნის ინტერესებს აზიანებს. ახალი არაფერი ხდება. ქვეყანაში „გაზპრომი“ ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირის“ დროს შემოვიდა, რომლის წევრები ნაციონალები იყვნენ. მთავრობა რა სახის ხელშეკრულებას აფორმებს, არ ვიცი, მაგრამ იმაში, რომ ჩვენთვის შეიძლება გაზის ერთ-ერთი მომწოდებელი „გაზპრომი“ გახდეს, პრობლემას ვერ ვხედავ. ალტერნატიულია აზერბაიჯანი და მოლაპარაკებები ირანთან მიმდინარეობს. ნეტავ, კიდევ მეტი იყოს, რომ მოწოდების მეტი წყარო გვქონდეს, რათა რომელიმე ქვეყანამ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ეს ბერკეტები არ გამოიყენოს.

— რუსეთმა საქართველოს 2006 წელს გაზი შეუწყვიტა, ის არასტაბილური ქვეყანაა. ოკუპანტის გაზი გჭირდებათ?

— მძიმე პირობებში სწორედ იმიტომ ჩავდექით, რომ მაშინ მხოლოდ რუსეთზე ვიყავით ჩამოკიდებულნი. თუკი რომელიმე ერთ ქვეყანაზე ვიქნებით ჩამოკიდებულნი, გამორიცხული არ არის, რომ იგივე ვითარებაში აღმოვჩნდეთ. აზერბაიჯანთან ურთიერთობა დღეს კი კარგი გვაქვს, მაგრამ თეორიულად, გარანტირებული უნდა ვიყოთ და ამა თუ იმ ქვეყანაში მოსული ხელისუფლების კეთილ ნებაზე დამოკიდებულნი არ უნდა ვიყოთ. ვინმემ თქვა, რომ რუსეთზე ჩამოკიდებული უნდა ვიყოთ?

— ოპოზიცია ამბობს, რომ „გაზპრომში“ წილი ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილსაც აქვს და მთავრობასა და „გაზპრომს“ შორის მოლაპარაკებების დაწყების მიზეზიც სწორედ ეს არის...

— მივესალმებოდი, რომ მთლიანად „გაზპრომი“ ივანიშვილის იყოს. მაშინ, მასთან მივიდოდით და ვთხოვდით, რომ საქართველოსთვის გაზი ან უფრო იაფად მოეწოდებინა, ან საერთოდ უსასყიდლოდ. იმ ხალხის მიკვირს, რომლებიც დაძაბულობის შექმნას ცდილობენ. უკრაინა რუსეთთან საომარ ვითარებაშია, მაგრამ რუსულ გაზზეა მთლიანად დამოკიდებული. ჩვენი ჭკუის მასწავლებლები ჭკუას უკრაინას რატომ არ არიგებენ? ოდესაში მიშა გაზს საიდან იღებს? მისი წარმომადგენლები ჭკუას ჩვენ რომ გვარიგებენ, მიშა დაარიგონ.

— დაბოლოს, ვინაიდან ხშირად ხმაურიან განცხადებებს აკეთებთ, ამის გამო გუნდში პრობლემები არ გექმნებათ?

— განცხადებებს ხმაურის გამო არ ვაკეთებ. იმას ვამბობ, რაც სწორად მიმაჩნია. გუნდის აზრს ვითვალისწინებ და საჯაროდ ისეთი აზრი არ გამომითქვამს, რომელიც გუნდის შიგნით არ დამიფიქსირებია.

— პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებით მკვახე განცხადებებს რატომ აკეთებთ?

— განცხადებას უმადურობაზე ვაკეთებ და პრობლემა მის გვართან არ მაქვს.

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ

ᲑᲐᲜᲙᲠᲝᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ „ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘᲗ“ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲜ

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ მინისტრის, ვიცე-პრემიერის კახა კალაძის განცხადებით, „გაზპრომთან“ დღეს მოქმედ ხელშეკრულებას 2003 წელს მოეწერა ხელი და მას შემდეგ 21 დამატება იქნა გაფორმებული ვადის გაგრძელებისა და სხვადასხვა ტექნიკური საკითხების დარეგულირების მიზნით.

ამის შესახებ კახა კალაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ეს პირველ რიგში, ძალიან კარგად იციან იმ ადამიანებმა, ვინც ამ თემაზე ყველაზე მეტს ყვიროდა და ყველაზე მეტს საუბრობდა“, — განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, „გაზპრომთან“ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში ყოველწლიური შეხვედრები იმართებოდა წლების განმავლობაში სააკაშვილის რეჟიმის დროსაც და მანამდეც.

„გარდა ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზისა, ომის შემდგომაც კი ხდებოდა დამატებითი მოცულობების მიღება რუსეთიდან. მაგრამ, რატომღაც, ამ ფაქტებს ივიწყებენ და არავინ საუბრობს. არსებობს პოლიტიკური მორალის რაღაც ზღვარი, რომელსაც ყველაზე მარგინალმა, ბანკროტმა პოლიტიკოსმა თუ პარტიამ არ უნდა გადააბიჯოს. გასაგებია, რომ არჩევნების წელი მოდის და პოლიტიკურად გაკოტრებული პარტიები, პოლიტიკოსები შეეცდებიან, რომ მოსახლეობას რაღაცით შეახსენონ თავი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

როგორც კალაძემ აღნიშნა, 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ვიმყოფებოდით საომარ პირობებში, საქართველო ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობებს რუსეთიდან იღებდა. მისივე თქმით, საქართველო ბუნებრივ აირს რუსეთიდან იღებს 80-იანი წლებიდან, თუმცა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა წარმოადგინა ციფრები, სადაც საუბარი იყო ბუნებრივი გაზის იმ მოცულობაზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა რუსეთიდან 2003 წლიდან იღებს.

„საინტერესოა ერთი ფაქტი, 2006 წელს, ჩვენ კარგად გვახსოვს მოხდა აფეთქება მაღალ ელექტროგადამცემ ხაზ „კავკასიონზე“, საიდანაც ელექტროენერგიას რუსეთიდან ვიღებდით და ორ ცენტრალურ მაგისტრალურ გაზსადენზე. მაშინ წინა ხელისუფლება გვეუბნებოდა, რომ ჩვენ მოვახერხეთ და ბუნებრივი აირი შემოგვაქვს აზერბაიჯანიდან და ირანიდან და სრულიად მოხდა რუსეთის ჩანაცვლება. ეს იყო დიდი სიცრუე და ამაზე მეტყველებს ციფრები“, - განაცხადა კალაძემ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, 2006 წელს აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოტანილია 19 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის გაზი, ხოლო ირანიდან — დაახლოებით 5 მილიონი კუბური მეტრი.

„ირანიდან შემოსული გაზი არის დაახლოებით 2 საათის სამყოფი მოხმარება ჩვენი ქვეყნისთვის. 19 მილიონი კი შეიძლება ითქვას, რომ ნახევარი დღის მოხმარებაა“, — განაცხადა კალაძემ და დასძინა, რომ 2006 წელსაც კი დამატებითი მოცულობების მიღება ხდებოდა რუსეთიდან, ანუ 2006 წელსაც საქართველო 99%-ით იყო რუსულ გაზზე დამოკიდებული. კახა კალაძის თქმით, ეს თანამშრომლობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

„ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲙᲐᲛᲐᲗᲓᲜᲔᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ „თავისუფალი თაობის“ აქტივისტები ნაციონალური მოძრაობის ოფისში ბოთლების შეტანას ცდილობენ. მათ ჯერ პარტიის ოფისის წინ აქცია დაიწყეს და ტრანსპარანტებიც გამოფინეს „აიკრძალოს მებოთლეების პარტია“, შემდეგ კი ცარიელი ბოთლები აიღეს და პარტიის ოფისში არსებულ მუზეუმში შეტანა დააპირეს.

ისინი აცხადებენ, რომ თუ მათ აქვთ მუზეუმი, იქ ბოთლებიც უნდა ინახებოდეს. მცირე შეკამათება მოხდა „თავისუფალი თაობის“ აქტივისტებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის, რომლებიც ოფისის შესასვლელის კართან იმყოფებოდნენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა აქტივისტებს ოფისში შესვლის საშუალება არ მისცეს. მათ შორის დაიწყო სიტყვიერი დაპირისპირება, რის განმუხტვასაც პოლიცია ცდილობდა.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ ᲤᲝᲗᲨᲘᲪ ᲨᲔᲣᲢᲘᲔᲡ

ᲤᲝᲗᲘᲡ ,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში მისულ წევრებს, ფასადი კვერცხებითა და საღებავებით დასვრილი დახვდათ.

ნაციონალების ოფისი ქალაქის ცენტრში, აღმაშენებლის ქუჩაზე მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარეობს.

ნაციონალური მოძრაობის წევრებმა მომხადარი პოლიტიკურ ზეწოლად შეაფასეს და პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ დააკისრეს.

მმართველი გუნდის ადგილობრივი წარმომადგენლები მომხდარზე კომენტარს არ აკეთებენ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების თქმით, ისინი აღნიშნული ფაქტის გამოძიების მიზნით, სამართლადამცავი ორგანოებისთვის მიმართვას გეგმავენ.



ისტორია, რომელსაც პრეცედენტები ქმნიან,

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია თავს მოიკლავს „გამზრდელივით“, თუკი ოდესმე მისი შვილი მოსამართლე ურთმელიძესავით იტყვის, დედა არ არის ჩემი ოჯახის წევრი(!).

მოკლედ, დღეს და თუხთუხებს საზოგადოება, ქართველ კაცს ეს სიტყვები პირიდან როგორ დასცდაო. არადა, თუკი ცალკე ოჯახი აქვს ადამიანს, ხოლო მშობლები ცალკე ცხოვრობენ, ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში, დედ-მამა მისი ოჯახის წევრები არ არიან (თუმცა, აპრიორი ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე უარყოფს დედას ან მამას). ყოველ შემთხვევაში, საჯარო დეკლარაციაში წერენ მეუღლეს, შვილებს, საკუთარ შემოსავლებს, მაგრამ არა დედ-მამისას, იმიტომ, რომ ის ცალკე (სხვა) ოჯახია.

ამ მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე, მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გარშემო ამდენი კირკიტი, სრულიად უსამართლოა. რატომღაც არავინ შეწუხდა ნიკა გვარამიას ზედმეტი გამოხდომებით, მუქარანარევი გამონათქვამებით, ხშირად ზნეობის ჩარჩოებს რომ სცილდება(?!). ამიტომაც, როცა ობიექტური არ არის საზოგადოების ესა თუ ის წარმომადგენელი, იქნება ჟურნალისტი, ექიმი თუ მეცნიერი, იქ „სიმართლის ღაღადზე“ თავდადება უადგილოა...

ვინ დგას მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გვერდით? – ეს დღეები ისე ჩანდა, რომ მისი ბედი ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც საჯიჯგნად მიაგდეს, მან კი თავის გადასარჩენად ხან რა მოიფიქრა, ხან რა – ხშირად სრულიად სამართლიანად, ხშირად უსამართლოდ (მაგალითად, დედაჩემის საქმეს თუ პროკურატურა იძიებდა, არ ვიცოდიო... ბოლო დღეებში პრესა და მედია ამაზე წერდა და, ნუთუ, ვერ გაიგო?!), მაგრამ მოსამართლე ასეთ სასაცილო მდგომარეობაში საზოგადოების ნაწილის პასიურობამ რომ ჩააგდო (ნაწილი ზედმეტად აქტიურობდა), ხომ ფაქტია?

როგორც იქნა, გამოჩნდნენ ობიექტური ქომაგებიც.

გუშინ ორგანიზაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობამ“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მასში ნათქვამია: **„ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ წარმოებული დავის განხილვა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბედი, მათი სარედაქციო დამოუკიდებლობა და თავისუფალი საინფორმაციო გარემო მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის. სწორედ რომ, გამოხატვის თავისუფლების არსებობით, მისი ხარისხით იზომება დემოკრატიულობა და პლურალიზმი სახელმწიფოში. ამ ბუნებრივი ინტერესის ფონზე კიდევ უფრო მძაფრდება ყურადღების ეპიცენტრი მოპასუხე ტელეკომპანიის, მისი წარმომადგენლების განცხადებებისა და სიუჟეტების გამო. მაგალითად, დავაში მოპასუხე მხარედ მონაწილე „რუსთავი-2“-ის დირექტორის ბატონი ნიკა გვარამიას განცხადებები შეუძლებელია უყურადღებოდ დარჩეს. ის უნდობლობას უცხადებს დავის განმხილველ მოსამართლეს და დავის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მოსამართლის მიკერძოებულობის საფუძვლებად სხვადასხვა სახის გარემოებებს ასახელებს. ტელეკომპანიის დირექტორმა ერთ შემთხვევაში მოსამართლე მოიხსენია მოქმედი იუსტიციის მინისტრის გუნდის წევრად და მისსავე დაქვემდებარებაში მყოფ „ზონდერ მოსამართლედ“, მეორე შემთხვევაში მოსამართლე კორუფციაში, უფრო კონკრეტულად დავის მიკერძოებულად გადაწყვეტის სანაცვლოდ დიდი ფულის აღებაში დაადანაშაულა და მესამე შემთხვევაში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა მოსამართლე მისი ოჯახის წევრის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გამო პროკურატურის ტყვედ მოიხსენია. ამ წინააღმდეგობრივი განმარტებების ფონზე ობიექტურ დამკვირვებელს ბუნებრივად გაუჩნდება კითხვები – რომელია მოსამართლის უნდობლობის საფუძველი? არსებობს კი მოსამართლის მიუკერძოებულობაში დასაბუთებული ეჭვის შეტანის საფუძველი? რა მიზანს ემსახურება ტელეკომპანიის დირექტორის განცხადებები? უნდა ითქვას, რომ თავად ბატონი ნიკა გვარამია იძლევა ამ კითხვებზე პასუხს. ის არ მალავს, რომ მისი ყველა გამონათქვამი ემსახურება ისეთი გარემოს შექმნას, რომ საქმის განხილვას ჩამოცილდეს კონკრეტული მოსამართლე.**

ანუ რომელია მოსამართლის უნდობლობის საფუძველი და რა მიზანს ემსახურება ნიკა გვარამიას განცხადებები?

წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოება, თუ ის არ ზრუნავს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ამ ინტერესის დასაცავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი დასაშვებად მიიჩნევს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასაც კი. ეს იმით არის განპირობებული, რომ გამოხატვის თავისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის კანონიერ ინტერესებს შორის ღირებულებათა კონფლიქტის დროს „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის“ საჯარო ინტერესთან ერთად, კონფლიქტის ერთ მხარეს ექცევა „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის“ ინტერესიც. სწორედ ამიტომ, **მართლმსაჯულების (და არა კონკრეტული მოსამართლის) ინტერესებიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს:**

გასანხილველი საძმის შესახებ ინფორმაციების გადაცემა არ უნდა გადაიზარდოს „პარალელურ სასამართლო პროცესში“; და თავიდან უნდა იძნეს აცილებული საზოგადოებაში წინასწარი შთაბეჭდილებისა და განწყობის შექმნის შესაძლებლობა.

ამ ორი კომპონენტის დაუცველობა საფრთხეში აგდებს სასამართლოში სამართლიანი განხილვის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც გულისხმობს უფლებას მიუკერძოებულ სასამართლოზე. ასეთ ვითარებაში, კონკრეტულ საქმეზე ნებისმიერი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რა სამართლებრივ შედეგსაც არ უნდა ადგენდეს იგი, შესაძლოა აღქმული იქნეს, როგორც ზეწოლის შედეგად მიღებული.

ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობა“ ვერ იქნება გულგრილი ამ ფაქტის მიმართ. ეს არაა მხოლოდ რიგითი, კონკრეტული შემთხვევა, რომელიც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცემა. მას შეიძლება მიენიჭოს პრეცედენტის მნიშვნელობა და სხვა მრავალ შემთხვევაშიც განმეორდეს. ვფიქრობთ, რომ საზოგადოების ყურადღება უნდა გამახვილდეს და დისკუსია გაიმართოს სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის კანონიერი ინტერესის დაცვის კუთხითაც და იურიდიული საზოგადოების მხრიდან შეფასება მიეცეს იმას, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის და მისი წარმომადგენლების მოქმედებები თუ რამდენად ექცევა გამოხატვის თავისუფლების საჯარო ინტერესის ფარგლებში.

სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებულობის უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. მათ ადეკვატურად უნდა იმოქმედონ ყოველი მოსამართლის დაუსაბუთებელი კრიტიკის, მით უფრო, კრიტიკისადმი შეუთავსებელი გამონათქვამების კვალდაკვალ. **იმედია, ხელისუფლების სამივე შტო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი, იურიდიული საზოგადოება და თავად მასმედიის წარმომადგენლები საძართველოში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს მხოლოდ კონკრეტული მოსამართლის საზრუნავად არ მიატოვებენ და ერთად ვიზრუნებთ კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დეკლარილებული სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ინტერესის დასაცავად.** სამოსამართლო საქმიანობისათვის სათანადო გარემოს შექმნის გარეშე მართლმსაჯულება შესაძლოა, იქცეს მხარეთა თუ დავის შედეგებით დაინტერესებულ სხვა პირთა სუბიექტური ზრახვების განხორციელების მსხვერპლად, რაც უპირველესად დააზარალებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და მასთან დაკავშირებული ყოველი ადამიანის ინტერესს, ჰქონდეს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა სამართლიან, მიუკერძოებულ და დამოუკიდებელ სასამართლოში“.

მოსამართლეთა პათოსი გასაგებია. მართლაცდა, სად არის ნინო გვენეტაძე, რა პოზიცია აქვს თეა წულუკიანს, რატომ არ იღებს ხმას სახალხო დამცველი და ა. შ. და ა. შ?!

საუბარი ხომ ერთი მოსამართლის ბედზე კი არა, ისტორიაზეა, რომელსაც ასეთი პრეცედენტები ქმნიან. რამდენად ბევრი იქნება მსგავსი უსამართლობა, იმდენად დაბალი იქნება დემოკრატიის ხარისხიც (თუმცა, რაღა დროს დემოკრატიაა, როცა ჯერ ისევ ოჯახის წევრის სტატუსზე ვმსჯელობთ!!!)...

ნია ფიფია

მუქარა

დაიხურება თუ არა „რუსთავი-2“?!

„მომავალი არჩევნები ჩატარდება ან „რუსთავი-2“-თან ერთად, ან საერთოდ არ ჩატარდება“ – იმუქრება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია!

გვარამიას მუქარაში აშკარად იკითხება, რომ ისინი ყველანაირად შეეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის აგორებას და სიტუაციის მაქსიმალურად გამწვავებას, რაც ადვილად შესაძლებელია უმართავ ქაოსში გადაიზარდოს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „რუსთავი-2“ თავისი იდეოლოგიით და გამოხატვის ფორმით შუაზე გაჭრილი „ნაციონალური მოძრაობაა“, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ „ნაცმოძრაობა“ ჯერ კიდევ ცოცხალია და საზოგადოებაზე ზემოქმედების უტყუარ (გამოცდილ) ინსტრუმენტს ეფექტურად იყენებს!

როცა „ნაცმოძრაობას“ ვახსენებთ, ვგულისხმობთ იმ ბნელ (გარეშე) ძალებსაც, რომელ ძალებზეც იდგა 9 წლის მანძილზე ყოფილი რეჟიმი და რომელი ძალებიც დღესაც ყოველნაირად ცდილობენ მის რეანიმაციას!

რაც არ უნდა მწარედ (არაკოლეგიურად) ნათქვამად მოგვეჩვენოს, გვარამიას ზემოთ ხსენებული სიტყვების შემდეგ ძნელია „რუსთავი-2“ თავისუფალ მედია-საშუალებად აღიქვა. თვით მისი სიტყვებიც კი „მომავალი არჩევნები ან „რუსთავი-2“-თან ერთად ჩატარდება, ან საერთოდ არ ჩატარდება“ – ნიშნავს იმას, რომ ტელეკომპანია დესტრუქციულ ფუნქციას კისრულობს და როგორც 2003 წლის ნოემბერში, ახლაც ცდილობს რევოლუციის მებაირახტრის მანტია მოისხას!..

ჩემამდე ვერ დადის, როგორ ემუქრება საფრთხე თავისუფალ სიტყვას მაშინ, როცა ტელეკომპანიის „რევოლუციურად“ აღგზნებული დირექტორი საკუთარ თავს აძლევს უფლებას არჩევნების ჩატარება-არჩატარების ვერდიქტი თვითონ გამოიტანოს და საზოგადოებას არაფერი დაეკითხოს?

ან როგორ შეიძლება თავისუფალ სიტყვასთან გაიგივდეს „რუსთავი-2“, მაშინ, როცა მის უმთავრეს ფუნქციად არა საზოგადოების ინფორმირება და ობიექტური საინფორმაციო ველის შექმნა, არამედ, ხელისუფლების ძალადობით შეცვლისკენ მოწოდებაა.

სხვათა შორის, ყველა მათ მუქარაში ეს იკითხება. სულ სხვა თემაა, რამდენად ჯდება ზნეობის ჩარჩოში (ობიექტურობაზე რომ არაფერი ვთქვათ) ის სარედაქციო პოლიტიკა, რომელსაც „რუსთავი-2“-ის მამამთავრები ატარებენ.

პირდაპირ უნდა ითქვას: „რუსთავი-2“ არა თავისუფალი მედია საშუალება, არამედ ვიწრო პარტიული (ანტიქართული) რუპორია, რომლის მისია არანაირად არ ჯდება სახელმწიფოს ინტერესებში.

მე არ ვარ მომხრე რომელიმე მედია-საშუალების შევიწროების, მით უმეტეს, დახურვის, მაგრამ, როცა ბუზიდან სპილოს გამოყვანას ცდილობენ და ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებენ, ხელისუფლებამ ყველა მის ხელთ არსებული ბერკეტი უნდა გამოიყენოს, რომ დესტრუქციული პროპაგანდის მანქანა ან საერთოდ გაჩუმდეს, ან ცივილიზებულ კალაპოტში მოექცეს – სიტყვის თავისუფლება ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს!

მეორეც, საიდან მოაქვთ, რომ „რუსთავი-2“ იხურება. სასამართლოს კომპეტენციაში ვერ შევალთ, არც იმის მტკიცება შეგვიძლი, ვინ არის „რუსთავი-2“-ის ნამდვილი მესაკუთრე, მაგრამ თუ ტელეკომპანიის მესაკუთრეთა და გროშებად დახურდავებულ ჟურნალისტთა ქმედება (მათი პროპაგანდისტული პოლიტიკა) ეთიკის და სამართლებრივი სივრცის ყველა ზღვარს არ გადაცდა, თვითონ საზოგადოება არ დაუშვებს მის დახურვას!

ასე რომ, ნუ ეძებთ კატას ბნელ ოთახში, როცა ის იქ არ არის!

დაიჯერეთ, ვერ გახდება „რუსთავი-2“ ახალი „ნაციონალური“ რევოლუციის მებაირახტრე!

ანდრია ლისაშვილი



ქართული ბიზნესის მამინაცვალი

ანუ გამოიყენებს თუ არა სასამართლო ქართული ბიზნეს-სამართლის დამანგრეველ პუნქტს?

ხვალ თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგი პროცესი გაიმართება — სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი სულაკაძე განიხილავს სააქციო საზოგადოება „ფოთის წისქვილქარხნის“ შუამდგომლობას ამავე სასამართლოსა და ამავე მოსამართლის მიერ 2015 წლის 14 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე.

მოკლედ, დიდად საინტერესო არაფერია. უფრო ზუსტად, რომ არა ამ საქმეში ერთ-ერთი უმდიდრესი ქართველის, ბატონ ვანო ჩხარტიშვილის კოლორიტული ფიგურა, დიდად საინტერესო არაფერი იქნებოდა.

წისქვილქარხნისა და ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელი მამუკა ღვინიაშვილი სასამართლოსადმი თავის შუამდგომლობას სხვა დოკუმენტებთან ერთად თან ურთავს ერთ-ერთ რუსულ ინტერნეტსაიტზე ჯერ კიდევ 2007 წელს გამოქვეყნებულ ყველაზე მდიდარი ქართველების ნუსხას, სადაც საპატიო მე-40-50-ე ადგილებს 100 000 000 (ასი მილიონი!) დოლარით ბატონი ვანოც იყოფს. ამ სიის წარდგენით, ადვოკატი მოსამართლეზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს — შეხედეთ, ჩემი მარწმუნებელი რა ძლევამოსილი კაციაო და, ეჭვი მაქვს, მიზანს აღწევს კიდეც. იმასაც ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება ადვოკატის მიერ დიდი ბიზნესმენის ზურგსუკან გადადგმული ნაბიჯი — ეტყობა, ბატონი ვანო ამაყობს თავისი მილიონებით.

ასი მილიონი დოლარი მართლაც არ გახლავთ ხელწამოსაკრავი რამ. მით უფრო, გაღატაკებულ საქართველოში, სადაც მოქალაქეთა თითქმის მესამედი სოციალური დახმარებების იმედით სულდგმულობს, ხოლო მეხუთედი თვეში 160-ლარიან პენსიას შესციცინებს და უახლოეს ათ წელიწადში მისი ათი პროცენტით გაზრდაზე ოცნებობს.

სანამ ბატონი ვანოს შრომისმოყვარეობით, ნიჭითა და გონიერებით აღფრთოვანებულები ტაშს შემოვკრავდეთ, მოდი, მის ოფიციალურ ბიოგრაფიულ მონაცემებს გადავხედოთ.

დაიბადა თბილისში, 1964 წელს. რომელ სკოლაში სწავლობდა, არ ვიცი. 1980-1982 წლებში მუშაობდა ლიხაურის ჩაის ფაბრიკაში მუშად — იმ შავბნელ ეპოქაში კომპარტიაში შესასვლელად და უმაღლესი სასწავლებლის ლიმიტის მისაღებად მუშური წარსული აუცილებელი პირობა გახლდათ; 1987 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი; 1987-1990 წლებში იყო თბილისის საქალაქო საბჭოსთან არსებული ახალგაზრდული გაერთიანების დირექტორი; 1990-1991 წლებში — თბილისის სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე; 1991-1993 წლებში — „ბინსოცბანკის“ კრწანისის განყოფილების უფროსი; 1994-1995 წლებში — საქართველოს შემნახველი ბანკის პრეზიდენტი და „ახალი ქართული ბანკის“ დირექტორი; 1999 წლიდან 2004 წლამდე იყო სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი, საქართველოს გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე და ბოლოს, 2004-2008 წლებში — საქართველოს პარლამენტის წევრი...

მართლაც შთამბეჭდავი ბიოგრაფიაა. განსაკუთრებით, გულუბრყვილოებისა და ბრიყვებისთვის. ვინაიდან, წესით, მისი ღირსება, მოსამართლე სულაკაძე არც ერთ ამ კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნებოდეს, ვანოს ბიოგრაფიის წამკითხველს შეიძლება გაუჩნდეს უბრალო კითხვა — **სად და როდის იშოვა ბატონმა ვანომ ასი მილიონის ქონება: ლიხაურის ჩაის ფაბრიკაში, საგადასახადო ინსპექციაში, შემნახველ ბანკში თუ საქართველოს პარლამენტში?**

მართალია, კორექტული ბატონი მოსამართლე სულაკაძე ხვალინდელ სასამართლო სხდომაზე ამ კითხვას არ დასვამს, მაგრამ აგერ უკვე ოცი წელიწადია, შემნახველი ბანკის გაკოტრებული მეანაბრეები თავიანთი გამქრალი დანაზოგების დაბრუნებას და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვენ. წარმოიდგინეთ, თითს ბატონი ვანოსკენაც კი იშვერენ. **თუ ალღო არ მღალატობს, უკვალოდ გამქრალი შემნახველი ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა, ყოფილმა მინისტრმა და პარლამენტის წევრმა და ასმილიონიანი ქონების პატრონმა გამქრალი ანაბრების საიდუმლო უნდა იცოდეს.**

ასეა თუ ისე, 2007 წელს ჩინოვნიკი ვანო ჩხარტიშვილი უკვე მილიონერია. მეტისმეტად გადაჭარბებულია ხმები ნაციონალურ მოძრაობასთან მისი დაპირისპირების თაობაზე. თუ მის ბიზნესბიოგრაფიაში ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი ნაცმოძრაობის ფავორიტ „ბიზნესმენთა“ პარტნიორია აგარის შაქრის ქარხანაში, კაზინო „შანგრილაში“, რუსთავის „აზოტში“, ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაში, გზების მშენებლობაში... **ურთიერთობა ნაცებთან მას შემდეგ გაუფუჭდა, რაც „აზოტთან“ დაკავშირებული გახმაურებული აფიორის შემდეგ პარტიული ბოსების „გადაგდება“ დააპირა — ნიღბოსანმა ნაცბიზნესმენებმა ვანოს ხელები გადაუგრიხეს და მისგან უპრობლემოდ გამოწურეს 18 მილიონი დოლარი.** როგორც თვითონ ამბობს, ჩაგრული ბატონი ვანო იძულებული გახდა, ლონდონში გადასახვეწილიყო.

თუმცა, მანამდე იყო „მეგობრობა“ ბადრი პატარკაციშვილთან, რამაც ბატონ ვანოს მისი მრავალმილიონიანი ქონების პარტნიორ-მეწილეობა მოუტანა. ხოლო მილიარდერის გარდაცვალების შემდეგ...

ხოლო რაც შემდეგ მოხდა, მდიდარი ფანტაზიის მქონე ადამიანებისთვისაც კი ძნელი წარმოსადგენია — **„პარტნიორის“ გარდაცვალებისთანავე, პანაშვიდზე მისულმა ბატონმა ვანო ჩხარტიშვილმა მომხდარით გაოგნებულ ინა გუდავაძეს, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივს, ხელი მოაწერინა დოკუმენტზე, რომლის ძალითაც მის საკუთრებაში გადავიდა პატარკაციშვილის კუთვნილი ხუთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი ურეკში, რომელიც სასწრაფოდ გაასხვისა. მის საკუთრებაში აღმოჩნდა აგრეთვე მიწის ნაკვეთები თბილისის ცენტრსა და ლილოში, ბიზნესფედერაციის შენობა თბილისში, ფოთის წისქვილკომბინატი, თბილისის თამბაქოს ფაბრიკა, ფირმები „პრომედკო“ და „ჯე-ეს-კო“, ყულევის ნავთობტერმინალისა და „სოკარ ენერგო ჯორჯიას“ 24,5-24,5 პროცენტები, ტელეკომპანია „მზე“...**

ამჟამად ყველა ამ აქტივზე მიმდინარეობს სასამართლო დავები საქართველოში და საზღვარგარეთ. სამართლიანობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ რამეს, ალბათ, მისი კანონიერი მფლობელი ვერასოდეს დაიბრუნებს, რადგან **„რასაც ვანო აკეთებს, ყველაფერს ლაზათიანად აკეთებს“,** ანუ ბატონ ვანოს აქვს კვალის დაფარვის უნიკალური ნიჭი.

ეს ნიჭიერება კიდევ უფრო თვალსაჩინო მაშინ ხდება, როცა ბატონი ვანო ჩხარტიშვილი ახლა მეორე მილიარდერის, თანამედროვე საქართველოს წინაშე უნიკალური დამსახურების მქონე ბიძინა ივანიშვილთან მითიური მეგობრობით მორცხვად კეკლუცობს.

დავუბრუნდეთ ხვალინდელ სასამართლო სხდომას.

ვანო ჩხარტიშვილი ოდესღაც ბადრი პატარკაციშვილის და შემდეგ ვანო ჩხარტიშვილის კუთვნილი ფოთის წისქვილ-კომბინატის (წისქვილქარხანა) მესაკუთრეობას ედავება „თიბისი ბანკს“, შპს „პორტლენდს“, შპს „ფოთის მარცვლეულის კომბინატს“, შპს „ტრანსფერს“ და შპს „აგრიკომს“. კონსტანტინე (კოკი) ოსიპოვის კუთვნილი საქართველოში მარცვლეულის შემომტანი უმსხვილესი ფირმა „აგრიკომი“ წისქვილქარხნის შეძენით დიდხანს იყო დაინტერესებული. მიმდინარეობდა მოლაპარაკებაც, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, ვინაიდან ყიდვა-გაყიდვის ობიექტი იპოთეკით იყო დატვირთული „თიბისი ბანკში“ (როგორც ბატონი ვანო ჩხარტიშვილის ბევრი სხვა ქონება). ვინაიდან მილიონერმა დამგირავებელმა ვალი ვერ თუ არ გადაიხადა, 2010 წელს „აგრიკომმა“ დაახლოებით 2,8 მილიონ დოლარად ეს ობიექტი, როგორც უნაკლო ნივთი, შეიძინა ბანკისგან.

მას შემდეგ მყიდველმა ფირმამ ფოთის წისქვილქარხნის რესტავრაცია-რეკონსტრუქციაზე ამერიკული მულტინაციონალური ფირმა „ბუნგეს“ დახმარებით სოლიდური თანხები დახარჯა და მიტოვებული, დანგრევის პირას მისული ობიექტიდან თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი საწარმო შექმნა. მიმდებარე ტერიტორია შეიძინა და ტერმინალიც მოაწყო. ამ წუთისთვის წისქვილქარხანაში ათ ათას ტონაზე მეტი ხორბალი ინახება და იქ 50-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ჩხარტიშვილი მოპასუხეებისაგან გაყიდული ობიექტის უკან დაბრუნებას და ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ითხოვს იმ თანხას, რომელიც მას, შესაძლოა, მოგების სახით მიეღო წისქვილქარხნის ფუნქციონირებისგან, ქარხანა მის საკუთრებაში რომ დარჩენილიყო. გაგიკვირდებათ და, მოსამართლე სულაკაძე, ნაწილობრივ მაინც, იზიარებს „ჩაგრული“ მომჩივანის არგუმენტაციას — წლეულს მან, მოსარჩელის გულის გასახარად, ჯერ წისქვილქარხნის ქონება დააყადაღა, 14 აგვისტოს კი გამოიტანა გადაწყვეტილება ამ ქონების ჩხარტიშვილის ფირმებზე მიკუთვნების შესახებ. ამავე დროს, მოპასუხე მხარეს გასაცნობად გაუგზავნა მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი (გადაწყვეტილება), აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილს კი მოპასუხეები დღემდე ელიან. მართალია, ამით გონებამახვილ მოსამართლეს ფორმალურად კანონი არ დაურღვევია, მაგრამ მოპასუხე მხარეს შესაგებლის გამოყენების შესაძლებლობა მოუსპო. **ისიც ძალზე საინტერესო და უცნაურია, რომ ჩხარტიშვილის მრავალრიცხოვანი სარჩელების უმრავლესობას სწორედ მოსამართლე სულაკაძე განიხილავს. თქვენ რომ იფიქრეთ, იმის თქმა არ მინდოდა — ალბათ, უბრალო დამთხვევაა, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ბატონი სულაკაძე ჩხარტიშვილის საქმეების უბადლო მცოდნე, მოკლედ, კარგი (ჩხ)არტისტია.**

როგორც მოგახსენეთ, ხვალ სასამართლომ, ჩხარტიშვილის მხარის მითითების, უკაცრავად, შუამდგომლობის, საფუძველზე უნდა განიხილოს წლეულს 14 აგვისტოს მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი. თუ შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, ფირმა „აგრიკომი“, ფაქტობრივად, კუთხეში მიმწყვდეული აღმოჩნდება და თავისი საკუთრების შენარჩუნებისათვის ბრძოლა უიარაღოდ და ხელების ფათურით მოუწევს

საინტერესოა საპროცესო კოდექსის ის მუხლი, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულებას გულისხმობს:

1. მუხლი 268. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით, ან სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადის დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არაუმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) ამოღებულია;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი „ზ“ ქვეპუნქტის გამოყენებაზე მიუთითებს და მეტი დამაჯერებლობისათვის სასამართლოს აცნობებს, რომ თუ ჩემს შუამდგომლობას დაეკმაყოფილებთ, აგერ ბატონო, ფირმა „ვესტ ინვესტი“ და შპს „ბლექ სი ქოლდი“, რომლებიც მზად არიან წისქვილქარხნის აღორძინებას სოლიდარულად 40 მილიონი დოლარი მოახმარონო! ოღონდაცო, ეს ობიექტი ჩვენი ვანო ჩხარტიშვილის უნდა იყოსო.

საინტერესოა, რომ კანონის ამ პუნქტის გამოყენების პრეცედენტი საქართველოში არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ აღმოვაჩინე. ეს არ არის შემთხვევითი — ამ პუნქტის გამოყენებამ, შესაძლოა, დამანგრეველი შედეგები მოუტანოს ქართულ ბიზნესს და ქართულ სამართალსაც.

ვნახოთ, სასამართლო და ხვალეო, ნათქვამია.

თეიმურაზ ქორიძე

◎ ინფრასტრუქტურა

შემოვლითი რკინიგზაც აშენდება და ახალი კურორტებიც

ამ ფონზე, როცა 2012 წლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ძირითადად სოციალურად ორიენტირებულია და მასში ნაკლებად არის ასახული ინფრასტრუქტურული სარჯები, ხელისუფლება აცხადებს, რომ სამომავლოდ რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის გაგრძელებას ან დაწყებას აპირებს. ამ საქმეში მთავრობას ინვესტიციების მოზიდვის იმედი აქვს. მსგავსი განცხადებები გასული დღეების განმავლობაში თბილისში გამართულ „აბრეშუმის გზის ფორუმზე" გაკეთდა.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში განახლდება, – განუცხადა ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს. როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, პროექტში გარკვეული კორექტივები შევიდა:

„თბილისის შემოვლითი რკინიგზა ფინანსდებოდა ევრობონდებისგან მოზიდული რესურსით და, სავარაუდოდ, ამავე რესურსით გაგრძელდება ამ პროექტის დაფინანსება. ეს იქნება სუვერენული რესურსით დაფინანსებული პროექტი. შემდგომში, უკვე მომდევნო ეტაპზე, არ არის გამორიცხული, რომ ამ ტიპის პროექტებზე განხილული იქნეს კერძო სექტორთან ერთად კონცესიური მოდელები".

მთავრობაში აცხადებენ, რომ მუშაობენ ასევე ქუთაისისა და სვანეთის დამაკავშირებელი გზის ახალ პროექტზე, ვინაიდან ადრე არსებული პროექტი არ აღმოჩნდა საერთაშორისო კომპანიებისთვის კონდიციური.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ძველი ხელისუფლების დროს არის დაწყებული და გაგრძელებას დღევანდელი ხელისუფლება „განახლებული ვერსიით" აპირებს, რიკოთის უღელტეხილზე ახალი ჩქაროსნული გზაა. არსებობს მოსაზრება, რომ ახალი ჩქაროსნული გზა ფასიანი იყოს. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში აცხადებენ, საერთაშორისო ნორმების თანახმად, ახალი ჩქაროსნული გზატკეცილი შესაძლოა, ფასიანი გახდეს მხოლოდ ალტერნატიული გზის არსებობის შემთხვევაში. მათივე ინფორმაციით, ფასიანი გზის მშენებლობის შედეგად შესაძლებელი გახდება არსებული გზის განტვირთვა და სატრანზიტო მიმოსვლის გაუმჯობესება, რაც ქვეყანას შემოსავალს მოუტანს.

ინფრასტრუქტურის მინისტრის ინფორმაციით, **„თუ ჩინელები აიღებენ ამ ინვესტიციას, საქართველოს ექნება უფრო მეტი გარანტია, რომ ჩინური ტვირთები ინტენსიურად გადაადგილდებიან ამ ავტობანზე. 30-დან 50 წლამდე შეიძლება დავთანხმდეთ, თუკი შევთანხმდებით, რომ გზას ისინი ააშენებენ და მართავენ ამ პერიოდის განმავლობაში, ანუ ეს იქნება ფასიანი გზა და ინვესტიციის ამოღება მოხდება მართვის ეფექტურობიდან გამომდინარე".**

ხელისუფლება აცხადებს, რომ, გზების პროექტების გარდა, მუშაობა მიმდინარეობს კურორტების განვითარების გენერალურ გეგმებზე. მათ შორისაა წყალტუბო, გონიო და სამხრეთ საქართველოს არაერთი მიმართულება. როგორც ეკონომიკის სამინისტროში ამბობენ, ეს პროექტები უკვე მუშავდება და მალე მზად იქნება ინვესტორებისთვის.

ზემოთ მოყვანილი განცხადებები და გასულ კვირას „აბრეშუმის გზის ფორუმზე" ხელისუფლების პირველი პირების მიერ გაკეთებული აქცენტები ცხადყოფს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების მეშვეობით ეკონომიკის ამოძრავება ამჯერადაც აქტუალურია, თუმცა ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტში საამისოდ ნაკლები თანხებია და ხელისუფლებას უფრო კერძო ინვესტიციების იმედი აქვს. თუ რამდენად რეალისტურია ეს იმედი, დღევანდელი გადასახედიდან, საკმაოდ ძნელი სათქმელია.

ამ ეტაპზე, მაგალითად, შეიძლება ის ითქვას, რომ თბილისის „აბრეშუმის გზის ფორუმის" ფარგლებში ჩინურ კორპორაცია Donfang Electric Corporation Limited-სა და „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას" შორის რამდენიმე შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, დღეისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია ნახშირის ქვესადგური, რომელიც ტყიბულში აშენდება. ეს იქნება 150 მეგავატის სიმძლავრის სადგური და პროექტის განსახორციელებლად დაახლოებით 200 მილიონი დაიხარჯება. მინისტრის თქმით,ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ქვესადგური იმუშავებს საქართველოში მოპოვებულ ნახშირზე, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას როგორც ნახშირის მოპოვების, ასევე თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროცესში და შემდეგ, როცა სადგურის მშენებლობა დასრულდება, შეიქმნება მუდმივი სამუშაო ადგილები.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება"

◎ რატომ არის ხალხი ავად?!

ყველაზე ხმაურიანი პროვინციული ქალაქი თბილისი!

ღამის საათებში ხმაური დასჯადი უნდა გამხდარიყო. თუმცა იმის გამო, რომ პარლამენტმა ამის შესახებ კანონი არ მიიღო და მოსახლეობის მყუდროების დარღვევაზე ჯარიმა არ დააწესა, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ძილი დაუფრთხოს მობინადრეებს და ამაზე პასუხს ვერავინ მოსთხოვს. არადა, თბილისი ევროპული ქალაქების მსგავსად, წყნარი ქალაქი უნდა ყოფილიყო.

კაფე-ბარებიდან გამომავალ აუტანელ ხმაურს ბაიკერების ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებაც ემატება, რომლებიც მოტოციკლის ძრავით მოსახლეობას ღამის 2-3 საათზე ძილს უფრთხობენ. ამ მხრივ განსაკუთრებით დაუცველი ძველი თბილისის მოსახლეობაა.

ბროსესა და ლაღიძის ქუჩის მაცხოვრებლები აღშფოთებულნი გვწერენ, რომ მათი ცხოვრება მას შემდეგ გართულდა, რაც ამ ქუჩაზე ე.წ. ბაიკერების კაფე გახსნეს. შესაბამისად, ამ უბანში მოტოციკლების განუწყვეტელი გადაადგილება ისედაც დანგრევის პირას მყოფ ისტორიულ შენობებს აზიანებს, ძლიერი ვიბრაციის გამო მათი სახლები ირყევა, ხოლო იმის გამო, რომ მოტოციკლისტებს ე.წ. „გლუშიტელი" (მაყუჩი) ჩახსნილი აქვთ და ამით ხმაურს აძლიერებენ, მობინადრეებს შუაღამის საათებში მოსვენება დაკარგული აქვთ. ეს კი მათ ჯანმრთელობაზე აისახება. მოსახლეობისთვის გაუგებარია, რას აკეთებს მერია და საკრებულო და როგორ აპირებენ ისინი დედაქალაქელებზე ზრუნვას?!

ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაქრაძე აცხადებს, რომ მოტოციკლების გამოყენება ღამით აკრძალული უნდა იყოს. სამწუხაროდ, საქართველოში ხმაურის ლიმიტირებული ნორმები არ არსებობს, რაც ყველა ევროპულ ქვეყანაშია, სადაც კანონის დამრღვევები მკაცრად ისჯებიან.

„კაფეებში რომ საშინლად ღრიალებენ, ამაზე პასუხს ვინმე აგებს? ხმაური ისევე მავნეა ადამიანისთვის, როგორც დაბინძურებული ჰაერი, შეიძლება, უფრო მეტადაც მავნეა. ამ ხმაურის ერთ-ერთი გამომწვევია მოტოციკლი, თორემ დიდ ქალაქებში კიდევ ათასნაირი ხმაური არსებობს. მაგალითად, დაუშვებელია უზარმაზარი კონდიციონერების მუშაობა, რომელიც აგრილებს ჰაერს მრავალსართულიან შენობაში და მთელი დღის განმავლობაში გუგუნებს. არცერთ ნორმალურ ქვეყანაში ამას არ დაუშვებდნენ, იმ წუთშივე დახურავდნენ ასეთ დაწესებულებებს. ჩვენთან კი უბერავენ და უბერავენ!. აგერ, ჩემს წინ არის „გუდვილი" ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს ბანკი „რესპუბლიკა", ორივეს უზარმაზარი კონდიციონერი აქვთ დამონტაჟებული და ყურთასმენა აქვთ წაღებული. თბილისში დენი რომ ჩაქრება, გენერატორებს ჩართავენ და აგუგუნდება მთელი ქუჩები. ეს ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა მოექცეს და ასეთი დაწესებულებები უნდა დაჯარიმდნენ. სანამ ამას კომპლექსურად არ გააკეთებენ, მანამ მოტოციკლეტების გუგუნის გამო არავინ დაისჯება".

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე რიმა ბერაძე ჩვენთნ საუბარში აცხადებს, რომ ხმაურის შესახებ ფრაქცია „ქართულ ოცნებაში" მოქალაქეებისგან განცხადება არ შესულა. ამიტომ მოსახლეობამ უნდა მიმართოს მერიის შესაბამის სამსახურს, ადგილი და დრო მიუთითონ, სადაც ღამის საათებში მათ მოსვენებას არ აძლევენ და რეაგირება მოხდება.

„მეც მქონდა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა, ჩემთან არის სიის თავმჯდომარე თედო კობახიძე, რომელიც თავის დროზე აღნიშნული ინიციატივის ავტორი იყო და აცხადებდა, რომ ღამის საათებში ხმაური დასჯადი უნდა გამხდარიყო, დღეს განმარტავს, რომ, სამწუხაროდ, ეს კანონი ძალაში არ შესულა. არადა, მისი პროექტით, ხმაურის პირველ გამოვლენაზე ჯერ გააფრთხილებდნენ ობიექტის მეპატრონეებს, შემდეგ 500-დან 1000 ლარამდე დააჯარიმებდნენ.

„ღამის საათებში ხმაური დასჯადი უნდა გამხდარიყო. ამის შესახებ უამრავი განცხადება იყო შემოსული მოსახლეობისგან, 300-500-ხელმოწერიანი განცხადებები გადაცემული გვქონდა პარლამენტისთვის, მათ ვატყობინებდით, ხალხი რა დღეში იყო და ეს არ ხდებოდა მარტო პეროვსკაიაზე, ტაბიძეზე, არამედ დიდუბის, ვაკის, საბურთალოს მოსახლეობა ხმაურისგან შეწუხებული იყო. რატომ არ აღასრულა ხალხის ნება საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, კონკრეტულად, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა, ჩემთვის გაუგებარია. არადა, ჩემი ავტორობით მომზადებული პროექტი მივაწოდეთ საქართველოს პარლამენტს, სადაც ინიციატორად გამოვიდა ჯანდაცვის კომიტეტი. ამაზე საპარლამენტო საკომიტეტო მოსმენებიც გაიმართა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოიწონეს ეს საკითხი, ქალბატონმა ეკა ბესელიამ დადებითი დასკვნა გასცა, თუმცა, სამწუხაროდ, ზურაბ ტყემალაძის კომიტეტმა ეს საკითხი ჩააგდო. მოსახლეობა ისევ დადგა იმ რეალობის წინაშე, რომ გაგრძელდება ამაო ზარები საპატრულო პოლიციაში, თვითმმართველობის ორგანოებში, ზედამხედველობის სამსახურში და რეაგირება არ განხორციელდება. ეს მაშინ, როცა ნებისმიერ ევროპულ ქალაქში დაცულია დეციბალის ნორმები. ჩვენ ვართ ევროპულ ოჯახში გაწევრიანების მსურველი სახელმწიფო, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს პირდაპირი მოთხოვანაა, რომ არ შეიძლება ვიღაცამ აკეთოს ბიზნესი სხვისი ჯანმრთელობის, სიცოცხლის ხარჯზე. თვეების განმავლობაში განგრძობადი ხმაური უმძიმეს ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, გულსისხლძარღვთა დაავადებები იქნება ეს, ფსიქიკური აშლილობა თუ სხვა რამ. პირდაპირ ანგრევს ადამიანს. ამიტომ გვინდოდა, შევშველებოდით ჩვენს მოსახლეობას. თვითმმართველობას და პარლამენტს იმიტომ ირჩევს ხალხი, რომ მათი სათქმელი გაიზიარონ. 21-ე საუკუნეში არსებობს ისეთი საშუალებები, რომ სხვა არ შეაწუხონ გამომავალი ხმაურით", – აღნიშნა თედო კობახიძემ.

მანვე მეზობელი თურქეთის მაგალითი მოიყვანა, სადაც სხვადასხვა ტიპის ბარების აკუსტიკა ისეა მოწყობილი, რომ ქუჩაშიც კი არ აწუხებთ ხმაური. შიგნით 40 დეციბალს კი არა, თუ უნდათ, ასი ათას დეციბალს გადასცდნენ, მაგრამ გარეთ ხმა არ უნდა გამოვიდეს. რაც შეეხება ბაიკერებს, ასევე, სპორტულ მანქანებს, რომლებიც ძალიან დიდ ხმას გამოსცემენ, თედო კობახიძის თქმით, ამ ტიპის მანქანებმა და მოტოციკლებმა შეიძლება ღამის სამ საათზე ფეხზე წამოაგდოს მძინარე ადამიანი. არადა, ზოგს ბავშვი ჰყავს, ზოგს მოხუცი, ზოგს დაავადებული. მართალია, მანქანის გაუმართავი ძრავის საკითხს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დღესაც არეგულირებს და დასჯადია, როცა ხელოვნურად ამოაცლი მანქანიდან დეტალებს, რომ უფრო მეტი ხმაური გამოიწვიო, მაგრამ იმავე პატრულმა როგორ უნდა დასაჯოს პირი, თუ იგი არ იქნება აღჭურვილი ხმაურმზომით?!

„ხმაურმზომების შესახებ სხვადასხვა უწყებებთან კონსულტაცია გავიარეთ, შს სამინისტრო პროგრესულად მიუდგა ამ საკითხს, მინისტრის მოადგილესთან, ბატონ იზორიასთან, ბატონ ხუციშვილთან მქონდა საუბარი და მათ თანხმობა განაცხადეს, რომ ყოველი მესამე საპატრულო ეკიპაჟი წელს ხმაურმზომებით აღიჭურვებოდა და ქალაქში ხმაურს გააკონტროლებდა. მომავალ წელს კი, სავარაუდოდ, ყველა ეკიპაჟი აღიჭურვებოდა ხმაურმზომით. შიდა ასიგნებებიდან იყოფოდა თანხა და ამას 15 ათასი ევრო სჭირდებოდა. ამავდროულად, ბატონ იზორიასთან მქონდა შეთანხმება, რომ შინაგან საქმეთა აკადემია შიდა ასიგნებებიდან გამონახავდა იმ თანხებს, რითაც საპატრულო ეკიპაჟებს გადაამზადებდა ამ სიტუაციისთვის, თუმცა ტყემალაძის კომიტეტმა ეს ყველაფერი გააუქმა".

იმის გასარკვევად, თუ რატომ დაბლოკა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა ხმაურისთვის ჯარიმის დაწესება, „მრეწველთა" ერთ-ერთ ლიდერს გოგი თოფაძეს დავუკავშირდით. მან დაადასტურა, რომ ეს საკითხი მართლაც დაისვა პარლამენტში, რაც „მრეწველების" ინიციატივა არ ყოფილა, თუმცა პირადად მათ არაფერი დაუბლოკავთ და ინფორმაციასაც არ ფლობს საკითხის დაბლოკვის შესახებ.

მანანა ნოზაძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტს შეერთების საკითხი მოუმწიფდა

ლეონიდ თიბილოვმა ვლადისლავ სურკოვს რეფერენდუმისთვის მზადყოფნის თაობაზე განუცხადა

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა განზრახვის შესახებ, მოაწყოს რეფერენდუმი რუსეთთან შეერთების შესახებ. ბატონი თიბილოვის განცხადება იყო მოულოდნელი როგორც მოსკოვში, ისე ცხინვალში. პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოსკოვში სამხრეთ ოსეთთან ინტეგრაციას უყურებენ „არც ისე პირდაპირხაზოვნად“.

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა განზრახვის შესახებ, მოაწყოს რეფერენდუმი რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხზე. ამის შესახებ 19 ოქტომბერს განაცხადა სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელის პრესსამსახურმა. ეს განცხადება ბატონმა თიბილოვმა გააკეთა ცხინვალში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწესთან ვლადისლავ სურკოვთან შეხვედრაზე. რესპუბლიკის მეთაურის აზრით, რუსეთთან შეერთება სამხრეთი ოსეთის ხალხის საუკუნოვანი ოცნებაა. **„პოლიტიკური რეალიები ისეთია, რომ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩვენი ისტორიული არჩევანი, შევუერთდეთ მოძმე რუსეთს და მრავალი საუკუნის განმავლობაში უზრუნველვყოთ ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის უშიშროება და აყვავება“,** — თქვა ლეონიდ თიბილოვმა.

მისი სიტყვებით, ყველა ნაბიჯი რეფერენდუმის შედეგების რეალიზაციისთვის განხორციელდება მხოლოდ რუსეთთან შეთანხმების შემდეგ.

უღიარებელი რესპუბლიკისთვის პრეზიდენტის განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა. **„მე თქვენგან ვგებულობ ამ ახალ ამბავს, არ ვარ ასეთი ინიციატივის კურსში და არ შემიძლია კომენტარი გავაკეთო“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოსტკონფლიქტური მოწესრიგების საკითხებში მურატ ჯიოევმა. რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის ანატოლი ბიბილოვის ტელეფონი 19 ოქტომბერს არ პასუხობდა, ჩვენი გაზეთის მონაცემებით, გვიან საღამომდე ის იყო თათბირზე ბატონ სურკოვთან. კიდევ ერთი ჩვენი თანამოსაუბრე რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ასევე გაოცებული იყო ბატონი თიბილოვის განცხადებით, მან აღნიშნა, რომ ვლადისლავ სურკოვი არ ყოფილა ცხინვალში არც 20 სექტემბერს, როდესაც აღინიშნებოდა რესპუბლიკის გამოცხადების 25 წლისთავი, არც 26 აგვისტოს — რუსეთის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარების მეშვიდე წლისთავზე.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებული ექსპერტები ნაკლებად გაოცებულნი იყვნენ. „თიბილოვი ყოველთვის იყო სამხრეთი ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მომხრე, და მისი მზადყოფნა რეფერენდუმის მოწყობისათვის ამ თემაზე ახალი ამბავი არაა, — უთხრა ჩვენს გაზეთს პოლიტოლოგმა ალექსეი ჩესნაკოვმა. — რუსეთის თანმიმდევრული პოზიცია თანამშრომლობის განმტკიცებისათვის შენარჩუნებულია, მაგრამ ასეთი ინტეგრაციის ფორმებს მოსკოვში უყურებენ არც იმდენად სწორხაზოვნად“.

მოლაპარაკების მსვლელობასთან დაახლოებულმა წყარომ აღნიშნა, რომ **„რეფერენდუმი ამჟამად დღის წესრიგში არაა. სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტი, ალბათ, საუბრობდა განწყობილების შესახებ საზოგადოებაში. დღის წესრიგში კი — მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შეთანხმების შესრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს კრემლში მარტში ვლადიმერ პუტინმა და ლეონიდ თიბილოვმა — იგი არაა“. „ამ შეთანხმების შესაბამისად რესპუბლიკის არმიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასაზღვრო სამსახურის ნაწილები უნდა შეერწყან რუსულ სტრუქტურებს, სოციალური სტანდარტები კი მიყვანილია რუსეთის დონემდე“,** — გვითხრა თანამოსაუბრემ.

სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ლეონიდ სლუცკიმ 19 ოქტომბერს სააგენტო „რია ნოვოსტის“ განუცხადა, რომ „პრინციპულად ჩვენ გვესმის ლეონიდ თიბილოვის მოტივაცია, მაგრამ რაიმე პროგნოზის გაკეთება რეფერენდუმამდე მე არ შემიძლია“. **„რაც შეეხება შემადგენლობაში შესვლას — ეს უკვე შემდეგი ნაბიჯია, და საჭიროა მეტად გულდასმით იქნეს განხილული, მომწიფდა თუ არა ამისთვის აუცილებლობა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მსოფლიო გაერთიანების რეაქცია აბსოლუტურად ფეთქებადი იქნება. ჩვენ, როგორღაც, თავად შევაგდებთ მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში კიდევ ერთ უძლიერეს საინფორმაციო ამნთებს იმ დროს, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ ისედაც მიმდინარეობს უძლიერესი საინფორმაციო ომი“,** — თქვა დეპუტატმა.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა რუსეთმა აღიარა 2008 წელს საქართველოსთან „ხუთდღიანი ომის“ შედეგების მიხედვით. მაშინვე იქნა მიღებული რესპუბლიკისათვის დახმარების პირველი გეგმა, როდესაც რუსეთის ფედერაციის მთავრობამ გამოუყო ჰუმანიტარული დახმარებისთვის 500 მილიონი რუბლი და განაცხადა, რომ 2008-2009 წლებში გაუგზავნის 10 მილიარდ რუბლს ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის. სამხრეთი ოსეთის ბიუჯეტი დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციიდან უნაცვალგებო შემოსავალზე 90 და მეტი პროცენტით. 2014 წლის დეკემბერში მიღებული კანონი 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ ვარაუდობს შემოსავლებს 7,3 მილიარდი რუბლის მოცულობით, სადაც 6,7 მილიარდი რუბლი (91 პროცენტი) რუსეთის დახმარებაა. 1992 წელს სამხრეთ ოსეთში უკვე მიმდინარეობდა რეფერენდუმი „რუსეთთან შეერთების შესახებ“, მაშინ ამ იდეას კენჭისყრაში მონაწილეთა 99, 89 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

Коммерсант

დედამიწის ზურგზე

ჩებარკულის მეტეორიტზე ათობით დიდი ასტეროიდი ჰელოუინზე დედამიწას „ეწვევა“, მაგრამ სამყაროს დასასრულს მეცნიერები არ ელოდებიან

ციური სხეული, რომლის დიამეტრიც 280-დან 620-მეტრამდეა, 31 ოქტომბერს რეკორდული სიჩქარით ჩაუფრენს ჩვენს პლანეტას უფრო დიდი მანძილით, ვიდრე დედამიწიდან მთვარემდეა. მეცნიერები, სხვათა შორის, მოუწოდებენ მოსახლეობას არ იღელვონ, პლანეტას არაფერი ემუქრება.

ბარაკ ობამამ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში დარეკა, რათა ამერიკელი ასტრონავტისთვის ორბიტაზე რეკორდული ყოფნა მიელოცა

სკოტ კელიმ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე 383 დღე გაატარა, გადააჭარბა თანამემამულე მაიკლ ფინკეს მიღწევას. ამ დროს აბსოლუტური რეკორდი იმ დროის ოდენობაზე, რომელიც გაატარეს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე, ეკუთვნის რუს კოსმონავტ გენადი პადალკოს, რომელიც სექტემბერში მორიგი ვახტის შემდეგ დაბრუნდა, გაატარა იქ მთლიანად 879 დღე.

მართალია, მერკელი თურქეთს მხარდაჭერას დაპპირდა...

ანგელა მერკელმა, რომელსაც სურდა წაეხალისებინა თურქეთის სურვილი — მონაწილეობა მიეღო ევროკავშირში საემიგრაციო კრიზისის მოწესრიგებაში — დაჰპირდა თურქეთს ქვეყნის ევროკავშირში მიღების პროცესის დაჩქარებას, თუმცა ჩრდილოეთი კვიპროსის პრობლემა მოუწესრიგებელი რჩება, მიუხედავად პოლიტიკოსების განცხადებისა იმის შესახებ, რომ კუნძული შეიძლება ერთიანი გახდეს უკვე იანვარში.

კანადაში კონსერვატიული მთავრობა იცვლება

ლიბერალური პარტია მტკიცედ ლიდერობს კანადაში პარლამენტის არჩევნებზე და აგროვებს უმრავლესობას თემთა პალატაში. ამრიგად, კანადაში კონსერვატიული მთავრობა იცვლება ლიბერალურით, პირველად 2006 წლიდან.

სამართალდამცველები იტყობინებიან, რომ ლატაკიაში რუსული თვითმფრინავის დაბომბვისაგან 45 კაცი დაიღუპა

ავიაციის დარტყმები განხორციელდა იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც მეამბოხეები აკონტროლებენ, განაცხადეს სირიის ადამიანთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის საბჭოში. მოკლულთა შორის არის ოპოზიციური ფორმირების მეთაური. ამ დროს იტყობინებიან, ასევე, რომ წინა დღით ოპოზიციის ორი მეთაური მოკლეს ლატაკიაში და კიდევ სამი — ალეპოს პროვინციის სამხრეთში.

სტამბოლში პოლიციამ „ისლამური სახელმწიფოს“ სასწავლო ცენტრი გააუქმა

სტამბოლის პოლიციის ანტიტერორისტულმა ბიურომ განახორციელა სპეცოპერაცია. ჩხრეკები მოხდა პენდიკში 13 მისამართით და ხუთ-ხუთისა — მეზობელ რაიონში. შედეგად დააკავეს უზბეკეთისა და ტაჯიკეთის 53 მოქალაქე, მათ შორის 29 ბოევიკი და 24 მოზარდი 18 წლის ასაკამდე, რომლებსაც ასწავლიდნენ რადიკალურ ისლამს და წვრთნიდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ბაზაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2015 წლის 16 ოქტომბრის №78 განკარგულებისა, 2015 წლის 6 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქუჩა №2, ოთახი №416) დღის 12 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

დანართი №1

N	საინვენტაროს ნომერი	ძირითადი საშუალების დასახელება	საწყისი ფასი
1	18253	კომპიუტერის მონიტორი "HP Compaq1530"	33
2	13079	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	65
3	13957	კომპიუტერი "Ibm 2000"	41
4	13960	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	41
5	16968	კომპიუტერი "DELL 210L"	77
6	11208	კომპიუტერის მონიტორი "DELL 15"	41
7	14699	სვიჩი "Cisco 2950"	41
8	10402	კომპიუტერის მონიტორი "Dell 15"	41
9	15936	პრინტერი "HP LJ 2420"	41
10	13989	კომპიუტერი "Ibm 2400""	77
11	13961	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	41
12	17160	ნოუთბუქი "Ibm R 40"	77
13	20530	ნოუთბუქი "DELL D520"	116
14	14973	სერვერი "IBMx346"	116
15	14971	სერვერი "IBMx445"	116
16	15336	სვიჩი "სისკო 2950"	49
17	12013	სკანერი "Hp 2400"	33
18	10405	პრინტერი "Hp lj 1012"	41
19	10459	პრინტერი "Hp lj 1012"	41
20	13528	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
21	10504	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
22	12005	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
23	11248	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	77
24	12269	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	41
25	12006	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	41
26	11017	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	49
27	15712	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	77
28	17141	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Netgear"	41
29	13294	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	41
30	13476	კომპიუტერის მონიტორი "HP 1506"	49
31	14795	უწყვეტი კვების წყარო "MGE 1100"	25
32	11549	კომპიუტერი "Dell 210L"	92
33	14517	კომპიუტერი "Dell 210L"	92
34	21507	კომპიუტერი "Dell 210L"	92
35	10426	კომპიუტერი "Dell 210L"	92
36	11411	კომპიუტერი "Dell 210L"	92
37	13191	კომპიუტერი "Dell 210L"	92
38	14002	კომპიუტერი "Dell 210L"	92
39	12090	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	49
40	11421	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	49
41	10046	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	49
42	17792	ნოუთბუქი "Hp 6830 S"	116
43	10413	ნოუთბუქი "Dell D520"	116
44	16001	ნოუთბუქი "Dell D520"	116
45	11751	ნოუთბუქი "Dell D520"	116
46	11371	ნოუთბუქი "Dell D520"	116
47	20029	ნოუთბუქი "HP 530"	138
48	13942	ნოუთბუქი "Dell D520"	116
49	13181	პრინტერი "Hp lj 1020"	65
50	13818	პრინტერი "Hp lj 1020"	65
51	12446	პრინტერი "Hp lj 1020"	65
52	11088	პრინტერი "Hp lj 1020"	65
53	10337	პრინტერი "Hp lj 1020"	65
54	10525	პრინტერი "Hp lj 2420"	138
55	14817	პრინტერი "Hp lj 2420"	138
56	14572	პრინტერი "Hp lj 2420"	138
57	13026	პრინტერი "Hp lj 2420"	138
58	10815	პრინტერი "Hp lj 2420"	138
59	10595	პრინტერი "Hp lj 2420"	138
60	13831	კომპიუტერი "Dell 620"	138
61	13760	ნოუთბუქი "Dell D520"	269
62	21575	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	33
63	14065-13729	ნოუთბუქი "Hp 2710"-სადგურით	306
64	16991	სერვერი "IBM xserver 445"	345
65	12871-12872	ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით	230
66	17148	ნოუთბუქი "Samsung r710"	192
67	17193-16933	ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით	230
68	15977	ნოუთბუქი "Dell D520"	138
69	19546	პრინტერი "Hp lj p-1120"	65
70	21885	კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
71	19580	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
72	19524	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
73	19582	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
74	21841	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
75	21776	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
76	22746	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
77	19573	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
78	21795	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
79	22449	ნოუთბუქი "Hp 6930"	192
80	17542	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
81	17545	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
82	17590	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
83	17522	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
84	17529	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
85	17786	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
86	17532	კომპიუტერი "Hp dx 2400"	116
87	21212	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
88	17582	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
89	17599	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
90	17561	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
91	17581	ნოუთბუქი "Hp 4510s"	192
92	17197	ნოუთბუქი "Hp 530"	116
93	17562	ნოუთბუქი "Hp 530"	116
94	17567	ნოუთბუქი "Hp 530"	116
95	17555	ნოუთბუქი"Hp 530"	116
96	18290	ნოუთბუქი "Hp 530"	116
97	17575	ნოუთბუქი "Hp 530"	116
98	17598	ნოუთბუქი "Hp 530"	116
99	17568	ნოუთბუქი "Hp 530"	116
100	17576	ნოუთბუქი "Hp 530"	116
101	17198	ნოუთბუქი "Hp 530"	116
102	17784	ნოუთბუქი "Hp 530"	116
103	17574	ნოუთბუქი "Hp 530"	116
104	18229	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s"	192
105	17570	ნოუთბუქი "Hp 530"	100
106	17602	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s "	230
107	18326	საარქივო მონაცემების შემნახველი "Ibm ds 4700"	3060
108	15995	კომპიუტერი "HP Compaq DX6100"	138
109	20030	პრინტერი "HP Officejet 7000 Wide Format"	92

110	20013	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
111	20025	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
112	20020	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
113	20018	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	269
114	19576	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	138
115	1861	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	4590
116	1862	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	4590
117	1979	უწყვეტი კვების წყარო "APC SMART_UPS SC 450VA"	92
118	11615	ტელევიზორი "ვანსონიკი"	77
119	13240	ტელევიზორი "Filipsi" დასადგამით	116
120	11768	ქსეროქსი "Canon PC 860"	65
121	15431	ტელევიზორი "Filipsi"	65
122	13550	ქსეროქსი "Canon lb mf 3228"	49
123	20050	ვირტუალიზაციის სერვერი "HP DL 180 G6"	269
124	213	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
125	221	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
126	231	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
127	232	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	41
128	237	კომპიუტერი "Ibm 2400"	77
129	248	კომპიუტერი "Ibm 2400"	77
130	261	კომპიუტერი "Ibm 2400"	77
131	357	ქსეროქსი "Canon pc 120"	65
132	464	სერვერი "HP Server ML 110"	116
133	612	სვიჩი "Cisco WS-C3550-24-SMI"	230
134	613	სვიჩი " Cisco WS-2950T-24"	77
135	803	კომპიუტერი "HP 2400 "	77
136	814	პრინტერი "HP 1150"	49
137	896	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	138
138	897	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	138
139	898	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 3405 "	116
140	1863	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	4590
141	1864	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	4590
142	15901, 16978, 16979	ვიდეო სათვალთვალო სისტემა (1 ც მულტიპლექსორი VideoTronic"; 2 ცალი სერვერი; 5 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	621
143	27627	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ციფრული ვიდეო ჩამწერი "H. 264 Digital Video Recorder; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	930
144	27630, 27643, 27642, 15889	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი " NT-2416R"; 1 ც მონიტორი "Videotronic"; 1 ცალი მართვის პულტი Videotronic 1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 5 ცალი "Dome" კამერა)	1240
145	15492	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	930
146	27634, 27628	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი სერვერი "Honeywell"; 1 ცალი "UPS MGE - 1500"; 1 ცალი "Dome" კამერა)	621
147	15493, 15662	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 8 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	930
148	15491	ვიდეოკონტროლის აპარატურა (5 ცალი მულტიპლექსორი; 1 ცალი მონიტორი "VideoTronic 10 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" და "Panasonic"; 3 ცალი ვიდეოკამერის სამაგრი ფეხი)	930
149	27629	ვიდეო კონტროლის სისტემის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 7 ცალი ვიდეოკამერა "YC 67 M")	3718
150	18951	დაშვების ელექტრონული სისტემა (5 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავტო)	9296
151	27641	ვიდეოკონტროლის აპარატურა (8 ცალი კამერა "VS-115NSHN-3")	1240
152	15490	ვიდეოკონტროლის სისტემა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 10 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	930
153		დაშვების ელექტრონული სისტემა (1 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავტო)	1240
154	15905	ვიდეო კონტროლის აპარატურა (ვიდეოჩამწერი "Panasonic")	125
155	27635, 27636 13233, 13230 13221, 13226 13227, 13225	ვიდეო კონტროლის აპარატურა-სვიჩი (5 ცალი სერვერი "Honeywell"; 2 ცალი გადამყვანი "SLT-1610R 1 ცალი სვიჩი "Cisco 3560"; 17 ცალი ვიდეო კამერა "YC 491W")	4958
156	27639	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი მოდემი; 1 ცალი გადამყვანი "SLT-1610R")	621
157	15806, 15907	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი სისტემის კონტროლი"VideoTronic"; 1 ცალი გადამყვანი „Everplex")	621
158	15659	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	125
159	15406	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	125
160	15889	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	187
161	18072-27640	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 10 ცალი "Dome" კამერა)	2790
162	18073	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 5 ცალი "Dome" კამერა)	2169
163	27632	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT 2416R"; 8 ცალი "Dome" კამერა)	2169
164	27631	ვიდეო-საკონტროლო სისტემის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 2 ცალი "Dome" კამერა)	621
165	27637	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 3 ცალი "Dome" კამერა)	3099
166	27638	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 8 ცალი "Dome" კამერა)	9296
		ჯამი	**86,309.00**

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 დანართში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი საააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის №GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული თანხის გადახდა სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება საააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 5 (ხუთი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მოხდება ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და ლოტების სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის საააუქციონო კომისია

◎ მწარე სიმართლე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე სფფ-ში არსებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება და უახლოეს გეგმებზე ისაუბრა. შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა თემაზე იყო კითხვები.

ლევან კობიაშვილი: „მადლობა მობრძანებისთვის. მე საარჩევნო პერიოდშიც შევხვდი მედიას და ვთქვი, რომ აბსოლუტურად გახსნილი ვიქნებოდი და ყველა კითხვას გავცემდი პასუხს. ასეა და მომავალშიც ასე იქნება. 3 ოქტომბრის შემდგომ დღეებში იყო კონკრეტული კითხვები და თავს ვიკავებდი პასუხებზე, რადგან ჯერ დეტალურად უნდა ჩამეხედა საკითხებში. სფფ-ში რთული მდგომარეობაა. არჩევნებამდეც ვცდილობდით, რომ ფედერაციიდან ფინანსურ საკითხებზე მიგვეღო ინფორმაცია, მაგრამ ვერ მივიღეთ. არის დავალიანებები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთშიც. 1. ვი-თი-ბი ბანკთან 3 მილიონ ლარამდეა დავალიანება და მისი გადავადება უნდა მოვახერხოთ; 2. უეფა-სადმი დავალიანებაა, ანუ ის თანხა, რაც 2016 წელს უნდა შემოსულიყო უეფა-დან, ვეღარ შემოვა და დაიფარება ვალებში. სულ 2 მილიონ ევრომდეა ვალი და ეს თანხა აღემატება იმას, რაც კლუბებს მოხმარდა; 3. რუსთავის აკადემია შენდებოდა და აგვისტოში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სამუშაოს მხოლოდ ნახევარია შესრულებული. ექვსი მოედნიდან ერთია გაკეთებული, ადმინისტრაციული შენობაც არაა დამთავრებული. ეს ყველაფერი დავალიანების გამოა შეჩერებული. სფფ-ის აკადემიის ფილიალია ზუგდიდშიც, სადაც თანხები არამიზნობრივადაა დახარჯული და ეს საკითხიც გასარკვევია. 4. გაურკვეველია ხელშეკრულებები ტელეკომპანიებთან და სხვადასხვა კომპანიებთან. ჩემთვის ამოუხსნელია, რისთვისაა საჭირო ეს კონტრაქტები, თანაც, გაფორმებულია არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. წარმოიდგინეთ, ზვიად სიჭინავამ იცოდა, რომ პრეზიდენტი აღარ იქნებოდა და მაინც გააფორმა ეს ხელშეკრულებები. 5. 17-წლამდელთა ნაკრები უნგრეთში მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში სათამაშოდ, ასევე უცხოეთში უწევთ გასვლა ფუტსალისა და ქალთა ნაკრებებს და ამ სამ ნაკრებს სათამაშო ფორმაც კი არ ჰქონდა. რა რესურსიც გაგვაჩნდა, გადავეცით, ბევრი ადამიანი დაგვიდგა გვერდში და განსაკუთრებული მადლობა ეკიპირების ფირმა „ჟომას“.

ლევან კობიაშვილი: საზოგადოებამ უნდა შეიტყოს, რაში იხარჯებოდა თანხები

— აუდიტი თუ შემოვა და თუ შეისწავლის, რაში დაიხარჯა თანხა?

— აუცილებლად. ჩვენ არცერთი პიროვნების დასჯა არ გვსურს, მაგრამ საზოგადოებამ უნდა შეიტყოს, რაში და რატომ არის დახარჯული თანხა, რომელიც არამიზნობრივი იყო. როგორც იცით, 18 ნოემბერს რიგგარეშე ყრილობაა დანიშნული, იქნება ცვლილებები წესდებაში და აირჩევა ახალი აღმასკომი. იგეგმება სტრუქტურული რეორგანიზაცია, ახალი მართვის სისტემა იქნება გამჭვირვალობით და გუნდურობით.

— რუსთავის აკადემიას როგორ დაასრულებთ თუ ამხელა ვალებია?

— წლის ბოლომდე გვსურს დავასრულოთ, რადგან მძიმე ტვირთად გვაწევს. აკადემიის გუნდების ბავშვები ისევ „ბასაზე“ ცხოვრობენ და ვეცდებით, ახალი წლიდან მაინც გადავიყვანოთ. იცით, რომ ეს აკადემიის გუნდები უეფას პროექტით შეიქმნა და წლეულს 2002 წელს დაბადებულთა ჯგუფი დაემატა. სამივე ასაკის გუნდი ახლა „ბასაზე“ ცხოვრობს და ახალი წლიდან გადავიყვანთ, თორემ როგორც იცით, „ბასაზე“ ჩვენი ნაკრებები ემზადებიან და ეს პროცესს ხელს შეუშლის.

— ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა, რომ ან ვიცე-პრეზიდენტად დარჩება, ან 21-წლამდელთა ნაკრებში, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, თუ რომელში. ასევე, სხვა ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა კონტრაქტებს თუ გადახედავთ?

— ახლა ისეთი პერიოდია, რომ 21-წლამდელებს, 19-წლამდელებს და 17-წლამდელებს შესარჩევი მატჩები ელით. ამ ეტაპზე არასწორია მათ კონტრაქტებზე ვილაპარაკო, მაგრამ გეტყვით — წლის ბოლოს ცვლილებები აუცილებლად იქნება. კითხვები ბევრ მწვრთნელთან მაქვს.

— ვაჟა ჟვანიას გუშინდელ ნაუბარს მოუსმენდით. ის თქვენთან ერთად იმუშავებს?

— ჟვანია იყო ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე და გადადგა. ამ ეტაპზე ჟვანიასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს და არც გვისაუბრია თანამშრომლობაზე. სამომავლოდ რა იქნება, ამაზე ახლა ვერაფერს ვერ გეტყვით.

— სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე იქნებ უფრო ვრცლად გვითხრათ რამე?

— 300 კაცია გაფორმებული ფედერაციაში, ძალიან ბევრი საერთოდ არ დადის სამსახურში და არც არავინ იცის, რას აკეთებენ.

პრესკონფერენციაზე საუბარი შეეხო ბათუმის სტადიონის მშენებლობასაც, რაზეც ლევან კობიაშვილმა განაცხადა, რომ ეს უპირველეს ყოვლისა ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტი საკითხია, თუმცა, ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს გაიკეთებს, რომ ხელი შეუწყოს სტადიონის მშენებლობას როგორც ბათუმში, ასევე სხვა ქალაქებშიც.

კითხვას, დაუბრუნდება თუ არა ეროვნულ ჩემპიონატს საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“, სფფ-ის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ყველას აქვს სურვილი ამ გუნდმა თამაში განაახლოს, თუმცა, ეს აუცილებლად სამართლებრივი ნორმების დაცვით უნდა მოხდესო.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილისა და მეჯრეველის ნახტომი

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ვაჟები — ნიკოლოზ ბასილაშვილი და ალექსანდრე მეტრეველი საგრძნობლად

დაწინაურდნენ და სადღეისოდ კარიერაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ.

ერთეულებში ჩვენი ვაჟების საკლასიფიკაციო მდგომარეობა ასეთია: 86 (93). ნიკოლოზ ბასილაშვილი (616 ქულა), 328 (369). ალექსანდრე მეტრეველი (144), 902 (901). გიორგი ცივაძე (18). 1129 (1130). გიორგი ჯავახიშვილი (8), 1421 (1418). ალექსანდრე ბაკში (3), 2077 (2071). ირაკლი მეტრეველი (1).

ძალები

ერთეულები. 256 (253). სოფიო შაფათავა 9177), 376 (396). სოფიო ქვაცაბაია (93), 397 (412). ეკატერინე გორგოძე (83), 569 (571). მარიამ ბოლქვაძე (42), 679 (678). ოქსანა კალაშნიკოვა (27), 745 (744). თინათინ ყავლაშვილი (20), 1091 (1095). თამარ ჭალაგანიძე (7), 1189 (1188). ანა შანიძე (4).

წყვილები. 83 (87). კალაშნიკოვა (911), 135 (142). შაფათავა (486), 152 (153). გორგოძე (411), 338 (348). ქვაცაბაია (144), 725 (726). ბოლქვაძე (35), 779 (783). თინათინ ყავლაშვილი (30), 1108 (1107). ანა ახალკაცი (11), 1108 (1107). ანა სანაძე (11), 1176 (1175). თამარ ჭალაგანიძე (9).

სოფიო შაფათავა ამჟამად საფრანგეთში იმყოფება და ჟი-ლეტუს საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) მონაწილეობს. მან წყვილებში უკვე მოსინჯა ძალები. ქართველი ჩოგბურთელი ანასტასია ვასილიევასთან (უკრაინა) არის შეამხანაგებული. პირველ წრეში მათ სლოვაკები — მიხაელა ჰონკოვა — რებეკა სრამკოვა დაამარცხეს — 6:2, 6:2.

ლაშა დიდია

◎ ლირსეული

უბრალოდ - „ტუხა“

რას იზამ, სიმართლის პირში თქმა ბევრს არ უყვარს. ის კი საკუთარ პრინციპებს ერთგულობს და სათქმელს პირუთვნელად ამბობს კალმითაც და ტელეეკრანიდანაც. ალბათ, იმიტომაც, რომ წარმოშობით პირდაპირობითა და სიალალით განთქმული ქიზიყიდანაა. და კიდევ — შრომის ყადრით გამორჩეული ოჯახის წევრებმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს გონებაში — მოყვარეს პირში უძრახეო.

ჩვენს ძვირფას კოლეგასა და მეგობარზე, ღირსეულ ლელოელ **გია ტუხაშვილზე** მოგახსენებთ, რომელიც ახლახან საპატიო რუსთაველად დაასახელეს. მადლობა მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის დამფასებლებს, მეტალურგთა ქალაქის უამრავ კოლორიტულ ფიგურაში რომ მიანიჭეს უპირატესობა.

მე თუ მკითხავთ, „ანზორიჩი“ აქამდეც ფლობდა აღნიშნულ ტიტულს, ოღონდ — არაოფიციალურად, ამიერიდან კი დამატებითი უფლებამოსილებით აღიჭურვა და თავისეულ ცხოვრებისეულ კრედოს აწი უფრო დაამკვიდრებს ირგვლივ — საძმოშიც, სანათესაოშიც, სამსახურშიც.

გილოცავთ, „ტუხა“!

გია პლატონიშვილი

◎ ჭადრაკი

ჩემპიონი ლიდერებშია

შარშან მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ბათუმის „ნონამ“ შვიდივე მეტოქე დაამარცხა და უდანაკარგოდ მოიპოვა ჩემპიონობა. ზღვისპირელები წლეულს სკოპიეს (მაკედონია) ეწვივნენ ტიტულის დასაცავად.

იქ ქალთა 12 გუნდი შეიკრიბა. გამარჯვებული შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურში გამოვლინდება. სტარტზე ქართველებმა შედარებით იოლად სძლიეს იტალიის „კირკოლოს“ — 3.5:0.5, მეორე ტურში კი რუსეთის „ნაშე ნასლედიეს“ დაძაბულ პაექრობაში 2.5:1.5 აჯობეს (ვალენტინა გუნინა-ნანა ძაგნიძე 0:1, ბელა ხოტენაშვილი-ალექსანდრა კოსტენიუკი 0:1, ოლგა გირია — ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, ნინო ბაციაშვილი-ეკატერინა კოვალევსკაია 1:0). ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სანკტ-პეტერბურგი“ (რუსეთი) — „გამბიტი“ (მაკედონია) 0:4, „იუგრა“ (რუსეთი) — „დე სტუგენაგერსი“ (ჰოლანდია) 3:1, „კირკოლო“ (იტალია) — „ჰერცლია“ (ისრაელი) 3:1, „რიშონი“ (ისრაელი) — „ბოსა ნოვა“ (ბელარუსი) 1:3, „მიდლენდი“ (ინგლისი)“ — „ოსლო“ (ნორვეგია) 1.5:2.5.

ორი ტურის შემდეგ 4-4 გუნდური ქულით „გამბიტი“ (8-საერთო ქულები), „ნონა“ (6) და „იუგრა“ (6.5) მეწინავეობენ. 2-2 ქულა აქვთ „ნაშე ნასლედიეს“ (5), „დე სტუგენაგერსს“ (4), „კირკოლოს“ (3.5), „ბოსა ნოვას“ (3.5), „სანკტ-პეტერბურგსა“ (4) და „ოსლოს“ (2.5). ორ-ორი წაგებით ბოლო სამ ადგილს “ჰერცლია“ (2), „რიშონი“ (1.5) და „მიდლენდი“ (1.5) იყოფენ.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ბარ რაფაელს „ბარსელონა“ პლატონურად უყვარს

„ბარსელონას“ ერთგული ქომაგი, ხელიხელსაგოგმანები და წარმოშობით ებრაელი მოდელი ბარ რაფაელი ამბობს, რომ მისთვის კატალონიური კლუბის სიყვარული რელიგიასავითაა და ამიტომ ამორალურ საქციელად მიაჩნია მისი მხრიდან საყვარელი კლუბის ფეხბურთელებთან ამძუვნებული კურკური.

რაფაელმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ერთ-ერთმა ესპანურმა ჟურნალმა ნახევრად ხუმრობით დაწერა, რომ ბარ რაფაელის „ბარსელონათი“ დაინტერესება თავის დროზე კლუბში მოთამაშე ერთ-ერთმა ფეხბურთელმა განაპირობა და თითქოს ბარი „ლურჯ-ბროწეულისფერ“ მაისურიან ბიჭებს ახლაც თვალებს უჟუჟუნებს.

რაფაელის მხრიდან მოქმედებებზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ როდესაც კატალონიური კლუბის მაისური გაცვია და შენს გუნდს ამ ქალისათანა სულის შემხურთველი გარეგნობის ასული ეტრფის, ალბათ ვერავინ გაგამტყუნებს, თუკი ცოტა „სხვა“ ფიქრები მოგეძალება. კაცნი ვართ ბოლოს და ბოლოს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სტუმარი

ფერნანდო იერო თბილისშია

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ფერნანდო იერო თბილისშია — ესპანელი ვეტერანი გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა საქართველოს დედაქალაქში. სტუმარს „საბურთალოს“ კლუბის ხელმძღვანელები: გენერალური დირექტორი კახა ჭუმბურიძე, ტექნიკური დირექტორი კახა კაშია და მასმედიის წარმომადგენლები დახვდნენ.

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ცენტრალური მცველი მცირე კომენტარით შემოიფარგლა:

„მოხარული ვარ, რომ საქართველოში „საბურთალოს“ მოწვევით ჩემს მეგობრებთან ჩამოვედი. მე და კლუბის გენერალური დირექტორი რამდენიმე კვირის წინათ მადრიდში შევხვდით ერთმანეთს, სადაც საინტერესო საუბარი შედგა. გავეცნობი კლუბის ხედვას, რა გეგმები აქვთ მომავალში და როგორ აპირებენ განვითარებას, შევხვდები აკადემიის ხელმძღვანელს, დავესწრები უეფას ახალგაზრდული ლიგის დღევანდელ მატჩს თბილისური კლუბის მონაწილეობით, მექნება სხვადასხვა საინტერესო შეხვედრები. ვფიქრობ, ამ ორ დღეს ნაყოფიერად გამოვიყენებთ“, — განმარტა ფერნანდო იერომ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წლები ჩემი სიმდიდრეა

ჩეგემი

მოგზაურული ჩანაწერები

— პაპანაძეებაბ, ბიჭებო, არ გვარგებს ასე სიარული... წინ კიდევ შორი გზა გვაქვს... დავისვენოთ!... სადმე ჩრდილს შევაფაროთ თავი!...

და ჯგუფი შეჩერდა.

...დღეს 1964 წლის ივლისია! საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის გარშემო ველოსიპედებით მივდივართ გივი ქურდიანი, იური კვატაშიძე, გვანჯი მანია და მე, ზაურ ფიფია!

...ლამაზ ხიდთან დიდი ასოებით აწერია: — „სოფელი ჩეგემი. ბალყარეთი“.

„ჩეგემამდე გზა ჰქონიაო“, წყევლიან სამეგრელოში ქალები მტერსა და დუშმანს... ჩეგემი ჩვენებურად უფსკრულს, მოუსავლეთს ნიშნავსო, გამიგონია... ღრმასა და ხიფათიანს.

— ე, ბიჭო, ჩვენივე ფეხით მოვსულვართ ჩეგემამდე და ეგ არი!... — იცინის გვანჯი. ირგვლივ კი, უფსკრულის მსგავსი არაფერი ჩანს.

სამხრეთით თოვლიანი კავკასიონია. უფრო ქვემორე ტყეა მოფარდული და ქვეყანა ხალისად იღვრება. აქ, გვერდით, პატარა მდინარე მოედინება ჩანჩქერად და მორევში ბავშვები ბანაობენ. ცურვაში და ყვინთვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ბავშვების ჟრიამული ამდიდრებს გარეშემოს.

შუა დღეა, სადილობის ჟამი. დღეს სადილის მომზადება იურის უწევს.

— ბიჭი, ბიჭი!... სადმე ჭა ან წყარო ხომ არ არის ახლოს, რომ სუფთა წყალი აიღოს კაცმა?... — ეკითხება გივი ცურვაში გამარჯვებულ „ვაჟკაცს“. ვაჟკაცმა იწყინა, — ბიჭი როგორ დამიძახაო და ხმა არ გასცა გივის. შებრუნდა და მორევში ჩაეშვა თავით.

— აგერ, ეზოში შედი და მოგცემენ, ან, მიგასწავლიან სად არის ჭა ან წყარო!.. — ურჩია იურიმ გივის.

ამასობაში ეზოდან ჭაღარა, ულვაშიანი ბერიკაცი გადმოვიდა და პირდაპირ ჩვენსკენ გამოემართა, — ალბათ, დაინტერესდა, ვინ არიანო ეს „რკინის რაშებზე“ ამხედრებული გიჟები.

— მშვიდობა თქვენს ჩამობრძანებას!... — მოგვესალმა მოხუცი.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ, ბატონო ჩვენო!..

— ოჰო!... ეს რა ამბავია, ამ პაპანაქებაში ველოსიპედებზე, რომ ამხედრებულხართ?... თავი არ გეცოდებათ?...

— შეჩვეული ვართ, ბაბუ, ჩვენ ამ ამბავს, სიცხე რას დაგვაკლებს?...

— ?!?!... — გაიკვირვა მოხუცმა. იქვე, შორიახლოს, ჩამოჯდა მდელოზე და ყალიონო გააბოლა.

იური და გივი მხატვრები არიან და საქმე „იშოვეს“!

იური სადილისთვის ამზადებს „კერძებს“. გივი ხატავს რაღაცას. ეტყობა, ძალიან მოხიბლა მოხუცმა და მის ნატურას „იღებს“, (როგორც თვათონ ამბობს, ხოლმე). მე და გვანჯი ჟურნალისტები ვართ და ადამიანები უნდა გავიცნოთ. და, რახან ბედმა გაგვიღიმა, მივუჯექით მოხუცს. ერთს უბის წიგნაკი და კალამი გვიჭირავს, მეორეს, ფოტოაპარატი.

...წავიდა გაცნობა!...

ბაბუა კოსტია ჩეგემელი გლეხია, უბრალო, უსწავლელი, მაგრამ გამჭრიახი, ბევრის მომსწრე და მნახველი. თითქმის ყველა ახსოვს, ვისაც გამოუვლია ამ გზაზე. 79 წლისაა უკვე და მაინც კარგად გრძნობს თავს.

— ბებიაჩემი 125 წლის იყო!... — „უმტკიცებს“ გვანჯი.

ვინ იცის, დაიჯერა თუ არა, კოსტიამ ეს ამბავი, მაგრამ ჩვენს ჯგუფში ყველამ ვიცით, რომ ეს ასეა!

შემდეგ, ჩვენც ვაცნობთ თავს მას და ბაბუა კოსტიას უკვირს ჩვენი მხნეობა... ჯერ ფეხებში გვაკვირდება ყოველ ჩვენგანს და შემდეგ თვალებში...

ისევ უკვირს!

იურის „პრიმუსი“ აუბოლდა. რაღაცას ბუზღუნებს.

— ე, ბიჭო, რომ გაუბით იმ კაცს ბაასი, წყალი მაინც ჰკითხეთ, სად არის!... აქ ხომ არ უნდა დავაღამოთ?...

ჰო, მართლა, ბაბუა კოსტიას ეცოდინება სად არის აქ კარგი ცივი წყარო ან ჭა!...

— რა წყალი?... აბა, ეს რა არის, აქ, რომ მოედინება?... ნავთი ხომ არ არის?... აიღეთ და დალიეთ!... განა ცუდია?... — გვირჩევს კოსტია ბაბუ.

— აუჰ, მაგი თუ დავლიეთ, ბალტიისპირეთი უკან დაგვრჩება... აქვე გავფშიკავთ ფეხებს! — ჩუმად ჩაიცინა გივიმ.

ბაბუა კოსტია ამჩნევს მის ღიმილს და სწყინს. სიამაყითა და ნიშნისმოგებით წამოდგა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და ბრძანა:

— ამ წყლის მადლითაა ჩეგემელები დიდხანს რომ ვცოცხლობთ და თავიც რომ არ აგვტკიებია არასოდეს!...

მთებისკენ შებრუნდა, მკლავები გაშალა და, თითქოს, ამ მთებს ებაასებაო:

— შეხედეთ კავკასს!... ამ მწვერვალებიდან ჩამოედინებიან ჩვენი მდინარეები, აქეთაც და იქითაც, და იმიტომ ვართ კავკასიელნი ჯანმაგარნი!... ამ წყლებმა გვასწავლეს ერთმანეთის გატანა და სიყვარული!... ამ მდინარეებით ვართ მდიდარნი, ამ მდინარეებმა და მწვერვალებმა შეგვაყვარეს ერთმანეთი!...

სიჩუმემ დაამშვენა არე. ყველა სმენად ვიქეცით.

— ჩვენი ნართები ამ მწვერვალების გადაღმა არასოდეს მიდიოდნენ სამტროდ. იყო დრო, ერთად მივაგებდით პატივს საღლოცავებს სვეტიცხოველთან და გელათთან, იერახთან და ხოზიტა მაირახთან, ბრუტსაბძელთან და ჩეგემთან, ბალყარნი თუ ყაბარდონი, ოსნი თუ ქართველნი!... ერთად ვებრძოდით მტერს, იყო ძმობა და მოწიწება!... ახლა კი, ზურგი შევაქციეთ სალოცავებს, წყალსაც ვუწუნებთ ერთმანეთს... ცუდი კაცები მოგვიმრავლდნენ, სამწუხაროდ, ცუდნი!... ნეტავი იმ დროს, ერთად, რომ ვსვამდით ჩეგემისა და ლიახვის, რიონისა და არაგვის, ენგურისა და თერგის წყალს!...

— ...ნართები ამბობდნენ, ამ მთებს გადაღმა ჩვენი ძმები ცხოვრობენო!... — კვერი დაუკარი „კოტე ბაბუს“.

...და კოსტია ბაბუ ხარბად დაეწაფა მდინარე ჩეგემის ტალღებს.

...ჩვენც დავლიეთ ჩეგემის წყალი! და შემდეგ, იურიმ ამ წყლით სადილი მოგვიმზადა და ვისადილეთ ერთად. ბევრი ვისაუბრეთ, ვიცინეთ კიდეც. მარლაც ბევრის მნახველი ყოფილა კოსტია ბაბუა, მაგრამ... ქართველი კაცი თავის ქვეყანას ველოსიპედით რომ ტოვებდეს და ჩრდილოეთისკენ მიდიოდეს, ამისთანა ჯერ არ სმენია!

— მადლობა უფალს, კიდევ ბევრს ვნახავ სასწაულს!... — დაასკვნა ბერიკაცმა და „ოქროს“ სავარცხელი გადაისვა ულვაშებზე.

— ...ნაომარი ადგილების სანახავად მივდივართ, ბაბუ!.... ომის დროს დიდი ბრძოლები იქნებოდა თქვენს სოფელში, არა?...

მოხუცმა ამოიოხრა.

— ...ომმა გაანადგურა ჩვენი სოფელი... მთლიანად გადაწვეს ფაშისტებმა... ქვა ქვაზე არ დატოვეს, მაგრამ განა შეძლებს ვინმე ამ პატარა, გმირი სოფლის მოსპობას?... მას ღმერთი ფარავს და ამ ნაკადულის მადლი!... მაშინ ყველანი ერთად ვიცავდით ერთმანეთს!...

...მერე, უბის ჯიბიდან სათნოებასავით ამოაბრძანა ოდნავ გაცრეცილი ფოტო ...

მასზე ორი ვაჟკაცი ისახებოდა ხელიხელ გადაჭდობილი. „სახსოვრად დედას და მამას.1941 წელი“, ეწერა სურათის მეორე მხარეს.

— ესენი ჩემი შვილები არიან... სტალინგრადთან ბრძოლებში დაიღუპნენ!...

...კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე. ომის საშინელმა კადრებმა გაუელვეს, ალბათ, ამ შვილებდაღუპულ მამას წამიერად.

— ...ამასაც მამა იმ ომში დაეღუპა!... — თქვა გვანჯიმ და მე შემომხედა.

...მზე დასავლეთისკენ გადაიხარა. ოდნავ დაჰბერა ნიავმა. დრო იყო წასვლის. წინ მამა-პაპათა სისხლით მორწყული სანახები გველოდებოდა. ბაბუა კოსტიას გამოვემშვიდობეთ. ზურგის ქარი და ბედნიერი მგზავრობა გვისურვა მოხუცმა.

სოფელი ჩეგემი და ბაბუა კოსტია სიკეთისა და სიყვარულის განუყოფელ სახებად დარჩა ჩვენს მეხსიერებაშო.

ჩვენ მივდიოდით შორ გზაზე და მიგვაცილებდნენ ნართების ლეგენდები, ჩვენს ძმობაზე რომ გვიყვებოდნენ სასწაულებს...

...„მოუსავლეთი“ ჩაკარგულიყო მოუსავლეთში!...

* * *

...ეჰ!... მას შემდეგ რა დრო გასულა?... ახლა მე ტობავაჩხილის წმინდა მიწაზე ვდგავარ და არამხუტუსა და ბაყბაყის ჯგვიბშეჯახების ლეგენდა აზანზარებს ქვეყანას. ყვირას მთაზე აღმართულა არამხუტუ, ოხაჩქუეზე კი, ბაყბაყი დგას და კლდის ნაფლეთს ესვრიან ერთმანეთს. დაიჭრა არამხუტუ, მაგრამ მისმა ნასროლმა ლოდმა ენგურში ჩაესერგა ბაყბაყი სამუდამოდ! არამხუტმა ნაიარევიდან ჩამომდინარე სისხლით აკურთხა მწვერვალებს შორის მოლივლივე სივრცე და შეერქვა მას მერე ამ ტბას „ტობავარჩხილი“, ვერცხლივით წმინდა და ანკარა ტბა!...

...ვდგავარ და კავკასიონს გადაჰყურებს ჩეგმი მზერა. მწვერვალები მიყვებიან ათას საოცრებას მტერთა ძლევისა და ურთიერთძმობისა...

...და მე მომინდა დღესაც ცოცხალი იყოს „კოტე ბაბუ“ და შევჩივლო მას, ოსთა და ქართველთა გასაჭირი, — „ბაყბაყები“, რომ შემოგვსევია, საუბედურო!

ზაურ ფიფია

◎ ანალიზურების საშუალო თვიური სტატისტიკა

ვის აქვს ყველაზე მაღალი და დაბალი ხელფასი საქართველოში?

როგორც აღმოჩნდა, საქართველოში მამაკაცების საშუალო ყოველთვიური ხელფასი ქალების ხელფასთან შედარებით გაცილებით მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების სფერო ერთი და იგივეა. მაგალითად, 2014 წელს დაქირავებით დასაქმებული კაცების საშუალო ხელფასი 980 ლარი იყო, ქალების კი — 617 ლარი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გასულ წელს დაქირავებით დასაქმებულთა ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ხელფასი განათლების სფეროში იყო — 456 ლარი, ყველაზე მაღალი კი საფინანსო საქმიანობაში — 1,590 ლარი. ამას გარდა, ყველაზე მაღალანაზღაურებადი საქმიანობის სახეებში საფინანსოს გარდა შედის სახელმწიფო მმართველობა — 1,232 ლარით, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა — 1,074 ლარით და ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება — 1,039 ლარით.

2014 წელს ყველაზე დაბალანაზღაურებადი სფერო განათლების გარდა იყო სასტუმროები და რესტორნები, სადაც საშუალო თვიური ხელფასი, საქსტატის ინფორმაციით, 477 ლარი იყო, მას მოჰყვება თევზჭერა, მეთევზეობა 503 ლარით. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ბოლო წლების განმავლობაში როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასი ყოველწლიურად იზრდება. ორივე სექტორში ერთი და იგივე საქმიანობის სახეებია ჩამოთვლილი, თუმცა სახელმწიფო სექტორში იგულისხმება ყველა სახელმწიფო დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომლის 50%-ზე მეტი წილი აქვს სახელმწიფოს, ხოლო არასახელმწიფო სექტორში 50%-ზე მეტი წილი აქვს კერძო ორგანიზაციებს. საქსტატის მონაცემებით, სახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2010 წელს იყო 539 ლარი, 2011 — 589 ლარი, 2012 — 656 ლარი, 2013 — 738 ლარი, 2014 წელს კი 788 ლარი. რაც შეეხება არასახელმწიფო სექტორს, 2010 წელს საშუალო ხელფასი იყო 661 ლარი, 2011 წელს — 670 ლარი, 2012 — 748 ლარი, 2013 — 795 ლარი, ხოლო 2014 წელს — 836 ლარი.

თუ ბოლო წლების სტატისტიკას გადავხედავთ, როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში ყველაზე მაღალანაზღაურებად სფეროში არაფერი შეცვლილა და პირველ პოზიციას ისევ საფინანსო საქმიანობა იკავებს, დასაქმების ყველაზე დაბალანაზღაურებადი სფერო კი განათლებაა.

თაკო ესეგუა

◎ ინფორმაცია

სოფელ ლიხაურში „ექვთიმეობის“ დღესასწაული აღნიშნეს

მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის წმინდანად შერაცხვის დღიდან 13 წელი გავიდა. თარიღი მის მშობლიურ სოფელში ტრადიციული ღონისძიებებით აღინიშნა. თაყაიშვილის სახელობის მუზეუმში მოეწყო კონფერენცია თემაზე — „ექვთიმე ღვთისკაცის ცხოვრება და მოღვაწეობა“. გაიმართა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი, აღევლინა წმინდანის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი.

სპეციალურად მოწყობილ კუთხეებში სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლები ადგილზე მასპინძლობდნენ მოწვეულ სტუმრებს. დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საპატიო მოქალაქეები. ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები და სასულიერო პირები დაესწრნენ.

„ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ინტელექტუალური და კულტურული ძალის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. რომ არა მეცნიერის თავდადება, დღეს ისტორიას არ ექნებოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა, ქვეყნის სხვადასხვა ეკლესიების საგანძური, რომელსაც საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესმა სიცოცხლის ბოლომდე უპატრონა და მიუხედავად უდიდესი სიდუხჭირისა, ხელუხლებლად დააბრუნა საქართველოში. ზოგი ამ განძს პირადი გამდიდრების წყაროდ აქცევდა. მის მაგალითზე მინდა გაიზარდოს ჩვენი შვილები“, — აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

ღონისძიება, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა, ანსამბლ „ქართული ხმების“ და მომღერალ მაკა ზამბახიძის კონცერტით დასრულდა.

◎ ყველაზე სწრაფები

სუპერავტომობილების ტოპ 10

მსოფლიოში ძალიან ბევრი სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული სუპერავტომობილი არსებობს და ნებისმიერი ტიპის ტოპ 10 უკვე იძლევა იმის მიზეზს, რომ ვიღაცამ გააკრიტიკოს ან არასრულფასოვანი უწოდოს. ქვემოთ მოყვანილ ათეულში იმ ავტომობილებს გთავაზობთ, რომლებიც სერიულად იწარმოება.

HENNESSEY VENOM GT
მაქსიმალური სიჩქარე: 447 კმ/სთ

Hennessey Venom GT მსოფლიოს უსწრაფესი სერიული წარმოების ავტომობილის ტიტულის მფლობელია. ის ნამდვილი ჰიპერქარია, რომელიც 321კ მ/სთ-ს 14,51 წამში ავითარებს. Venom GT აღჭურვილია 1244 ცხენისძალიანი, 7.0-ლიტრიანი V-8 აგრეგატით და მისი სასტარტო ღირებულება 1,2 მილიონი დოლარი გახლავთ.

KOENIIGSEGG AGERA R
მაქსიმალური სიჩქარე: 440 კმ/სთ

„ბუგატის“ მოსისხლე მტერი და ღირსეული კონკურენტი შვედეთიდან Koenigsegg Agera R ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი სერიული წარმოების ავტომობილია, რომლის პრემიერაც 2011 წლის მარტში ჟენევის მოტორშოუზე გაიმართა. ავტომობილის სასტარტო ღირებულება 1,5 მილიონი დოლარიდან იწყება. ერთ-ერთი ეგზემპლარი კი 4,2 მლნ დოლარად გაიყიდა.

BUGATTI VEYRON 16.4 SUPER SPORT
მაქსიმალური სიჩქარე: 431 კმ/სთ

ავტომობილი აღჭურვილია W-16 ტიპის 1200-ცხენისძალიანი აგრეგატით და მისი ღირებულება გახლავთ 2,4 მლნ დოლარი. „ბუგატის“ მფლობელმა კონცერნმა Volkswagen Group-მა „ვეირონის“ სერიული წარმოება დაასრულა და ცოტა ხანში მის მემკვიდრეს წარმოადგენს, რომლის სახელიც გახლავთ „ჩირონ“.

9FF GT9-R
მაქსიმალური სიჩქარე: 418 კმ/სთ

9ff GT9-R ეს არის Porsche 911-ის ბაზაზე შექმნილი ავტომობილი, რომელსაც აწარმოებს გერმანული ტიუნინგ კომპანია 9ff. ავტომობილი პრაქტიკულად გაუმჯობესებული Porsche 911 GT3-ია. მანქანა აღჭურვილია 4.0-ლიტრიანი ძრავით, რომელიც 1,120 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. ამ დროისთვის შექმნილია მხოლოდ 20 ერთეული GT9-R, რაც მათ იშვიათს და ძვირად ღირებულს ხდის. სასტარტო ღირებულება 1,5 მლნ დოლარია.

ZENVO ST1
მაქსიმალური სიჩქარე: 374 კმ/სთ

Zenvo ST1 არის მაღალი კლასის სპორტული ავტომობილი, რომელიც აღჭურვილია ტურბირებული 6.8-ლიტრიანი V8 ძრავით, რომელიც გამოიმუშავებს 1,104 ცხენის ძალას. Zenvo, ST1 0-100 კმ/სთ სიჩქარეს ზუსტად 3 წამში ავითარებს, მისი ძარა ნახშირბოჭკოსგან არის დამზადებული და გერმანიაში იწარმოება. ავტომობილის ფასი 1,8 მლნ დოლარია.

ULTIMA GTR
მაქსიმალური სიჩქარე: 371 კმ/სთ

Ultima GTR ეს არის ბრიტანული წარმოების სუპერავტომობილი. აღჭურვილია 720 ცხენისძალიანი ძრავით, რომელიც 0-100კმ-ს 2,6 წამში ავითარებს.

PAGANI HUAYRA
მაქსიმალური სიჩქარე: 370 კმ/სთ

Pagani Huayra ეს არის 720-ცხენისძალიანი, მილიონ დოლარად ღირებული ჰიპერქარი, რომელიც აღჭურვილია 6 ლიტრიანი V-12 ბიტურბო AMG-ს ძრავით. ინკების ერთ-ერთ ენაზე „ქარის ღმერთის“ სახელის მატარებელი იტალიური ჰიპერქარის სასტარტო ღირებულება 1,3 მილიონი დოლარი გახლავთ.

NOBLE M600
მაქსიმალური სიჩქარე: 362 კმ/სთ

Noble M600 ეს არის „ხელთნაკეთი“ ბრიტანელი, რომელიც აღჭურვილია კომპანია Yamaha-ს მიერ მოწოდებული Volvo-ს B8444S V8 ძრავით, რომელიც 650 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. ამ ჩამონათვალში მყოფი სხვა ძვირად ღირებული მანქანებისგან განსხვავებით, Noble M600 „სულ რაღაც“ 200 ათასი ფუნტი ღირს.

MCLAREN P1
მაქსიმალური სიჩქარე: 350 კმ/სთ

საქვეყნოდ ცნობილი ბრიტანული McLaren-ი ყოველთვის გამოირჩეოდა სუპერქარების წარმოებით, თუმცა ეს მოდელი მისი ნამდვილი სიამაყეა. McLaren P1 აღჭურვილია 3.8-ლიტრიანი, 727-ცხენისძალიანი ბენზინისა და 177-ცხენისძალიანი ელექტროძრავით, რომელთა ჯამური სიმძლავრე 903 ცხენის ძალაა. მანქანის ფასი 1,15 მილიონი დოლარია.

LAMBORGHINI AVENTADOR
მაქსიმალური სიჩქარე: 349 კმ/სთ

ყველასთვის კარგად ცნობილი „ბრუტალური იტალიელი“ აღჭურვილია 6,5-ლიტრიანი V12 ძრავით, რომელიც 691 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. Aventador-ი „ლამბორგინის“ სამოდელო ხაზში უმაღლეს საფეხურზე დგას და მისი ფასი 400 ათასი დოლარიდან იწყება.

კოკა კვირკველია

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ძმარმა, ჩვეულებისამებრ, მოიწვია მეგობრები თავის სახლში კარტის სათამაშოდ. უკვე დღის 5 საათია, მაგრამ მოთამაშენი არ იშლებიან.

— სანამ შეიძლება, ასე გრძელდებოდეს ჩემს სახლში? — შემოვარდა ოთახში გამწარებული ცოლი.

— მაშა, ნუ ყვირი, ეს სახლი უკვე ჩვენი არ არის...

* * *

მხოლოდ სულელები მიდიან მუდამ მხოლოდ წინ.

ჭკვიანები მიდიან იქით, საითაც მათთვის საჭიროა.

* * *

ადამიანმა, რომელმაც არ იცის, როგორ წარმართოს თავისი პირადი ცხოვრება, ერთი ბოთლი არყის დალევის შემდეგ იცის, როგორ უნდა მართოს ქვეყანა.

* * *

როდესაც ქალთან ჩხუბს იწყებთ, კარგად დაფიქრდით — 10-15 წუთის შემდეგ თქვენ მოგწყინდებათ ლანძღვა-გინება, მას კი — არა.

ყურადღება!

2015 წლის 23 ოქტომბერს (პარასკევს) 15 საათზე, გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ნოდარ ჯიოთანავა

თემაზე: **„საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაცია, პრობლემები და პერსპექტივები“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართ).

დასწრება თავისუფალია.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.

ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე